

K6573
2

ရန်ကုန်တော်မြို့၏ ဒုက္ခန်းပါန်လုပ်ငန်း



ကျော်လှေ

ပြည့်စုစုပွဲ

1

လူတေသန
ပြည့်စုစုပွဲ

၁၉၆၂ — ၁၉၆၃ ခုနှစ်

1961

ရန်ကုန်တော်မြို့
ဒုက္ခန်းပါန်လုပ်ငန်း
ပြည့်စုစုပွဲ
ပြည့်စုစုပွဲ
ပြည့်စုစုပွဲ

საქართველოს სსრ კორიტიკული
და გეზნიერების ცოდნის, გამავლაცემების საჭობადოება

რ. შავური, გ. გაგანიძე

65 1606
30806608030

1/1
K 6573





ავტორები: — როსტომ სიმონის ძე შადური,

ვლადიმერ ვალერიანის ძე ჭავჭავაძე.

რეცენზენტი — რ. სსრტლაძე

რედაქტორი — ა. ტორონვაძე

გარეკანი მრატვარ ი. ქავთარაძისა

გადაეცა წარ თებას 22/II-61, ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/IV-61. ქაღალდის
ზომა $10 \times 8\frac{1}{2}$; ანაწყობის ზომა $6 \times 9,5$; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 2,25
პირობით ფორმათა რაოდენობა 1,7;

შეკვ. № 3 4

ტირაჟი 8.200

უე 04350

საქ. ქ3 ც ქ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიომბინატი „ქომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Коммунисти“ Издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина № 14.

სიტყვა „კიბერნეტიკა“ ჯერ კიდევ ანტიკური დროის მოაზროვნის პლატონის თხზულებებში გვხვდება. ძველ ბერძნულში სიტყვა „კიბერნეტის“ მესაქეს ნიშნავდა. გასულ საუკუნეში ფრანგმა ფიზიკოსმა ამბერმა მეცნიერებათა კლასიფიკაციაში კიბერნეტიკაც შეიტანა (83-ე ნომრით) როგორც მომავალი მეცნიერება სახელმწიფოს მართვის შესახებ. ჩეგნი დროის გამოჩენილმა ამერიკელმა მათემატიკოსმა ნორბერტ ვინერმა კვლავ შემოიტანა სიტყვა „კიბერნეტიკა“. 1948 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი საგულისხმო სათაურით — „კიბერნეტიკა ანუ მართვა და კავშირი ცხოველსა და მანქანაში“.

როგორც ვხედავთ, კიბერნეტიკას ყოველთვის მართვას უკავშირებდნენ.

კიბერნეტიკა როგორც მეცნიერების ახალი დარგი, რომელიც სწრაფი ზრდის პროცესში იმყოფება, ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული.

კიბერნეტიკა განიმარტება როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება იმ კანონზომიერებათა შესახებ, რაც საერთოა ხელოვნური, ბუნებრივი და საზოგადოებრივი სისტემებისათვის. თუ შედგელობაში მივიღებთ, რომ მოქმედი ხელოვნური (ტექნიკური) სისტემა, ცოცხალი ორგანიზმი, ცხოველთა ოჯახი (მაგალითად ფუტკრების ან ჭიანჭველებისა) და თვით ადამიანთა საზოგადოება დინამიკურ სისტემებს წარმოადგენენ, მაშინ კიბერნეტიკა განიმარტება როგორც მეცნიერება დინამიკური სისტემების მართვის საერთო კანონზომიერებათა შესახებ.

კიბერნეტიკა იქმნებოდა თანდათანობით, სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ძალებით.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ამერიკის შეერთებულ შტა-

ტებში შეიქმნა მეცნიერთა ჯგუფი, რომელშიც შეღიოდნენ მათე-
მატიკოსები, ფიზიოლოგები, ფიზიკოსები, ექიმები, ფსიქოლოგები.

ეს ჯგუფი, რომელსაც მექსიკელი ფიზიოლოგი არტურ როჩენ-
ბლუტი მეთაურობდა, მიზნად ისახავდა მეცნიერების ზოგადი საკით-
ხების შესწავლას.

ისინი იქრაბებოდნენ და აწარმოებდნენ აზრთა გაცვლა-გამო-
ცვლას წაკითხული მოხსენებების გარშემო.

თანამედროვე მეცნიერების განვითარება ერთიმეორის საწი-
ნააღმდეგო ორი ტენდენციით ხასიათდება.

მეცნიერების ზრდის ერთი თავისებურება ის არის, რომ მეც-
ნიერება დაყოფას განიცდის სულ უფრო ვიწრო სპეციალობებად.
ეს არის დიფერენციაციის განშტოებადი პროცესი, რომელიც წარ-
მოქმნის ღრმა ცოდნის ვიწრო სპეციალისტებს.

კაცობრიობა თანდათანობით აგროვებს და აღრმავებს ცოდ-
ნას. დღეს ნაბეჭდი შრომების რიცხვი 100 მილიონი სახელშოდე-
ბით განისაზღვრება. ეს მარაგი ყოველწლიურად 100 ათასი ტომით
ივება მარტო ტექნიკური ლიტერატურის ხარჯზე. ასეთ ვითარე-
ბაში ბუნებრივად იბადება დისპროპორცია ადამიანის წაკითხვა-
ათვისების შესაძლებლობასა და ახლად გამოცემულ ლიტერატუ-
რის მოცულობას შორის.

თუ ძეელად, ვთქვაო, არისტოტელეს დროს ან ალორძინების
ხანაში, მეცნიერება ერთგვარ მთლიანობაში იყო მოცემული, დღეს
იგი უაღრესად დატოტვილია. თუ ანტიკურ ხანაში ან შუა საუ-
კუნებში მეცნიერი უნივერსალური ცოდნის ადამიანად ითვლებო-
და, დღეს შეუძლებელია ერთდროულად იყო კარგი მათემატიკოსი
და კარგი ბიოლოგი. უფრო მეტიც, ყოვლად შეუძლებელია რომე-
ლიმე ამ მეცნიერებას სრულად დაეუფლო.

ასევე ითქმის სხვა მეცნიერებაზედაც. დღეს უკვე არ არსებობს
ზოგადად ფიზიკოსი, ისევე როგორც არ შეიძლება არსებობდეს
ზოგადად ინჟინერი. ყველას აქვს თავისი ვიწრო სპეციალობა,
რომლის სრულყოფილად შესწავლა ადამიანისგან, როგორც წესი,
შეგნებული სიცოცხლის მთელ დროს მოითხოვს.

მეორე მხრივ, კარგა ხანია, რაც მეცნიერებაში თავი იჩინა და
ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს დიფერენციაციის საწინააღმ-
დეგო პროცესი – მეცნიერების სხვადასხვა დარგების მიჯნაზე ახა-
ლი, სინთეზური დარგების წარმოშობა.

მეცნიერების განცალკევებული, ასე ვთქვათ, ძაფებად დანაწი-

ლებული დარგებიდან იქსოვება მეცნიერების მთლიანი და ოვალწარმტაცი ხალიჩა. თუ დიფერენციაციის პროცესი მიმდინარეობს განმასხვავებელ თავისებურებათა საფუძველზე, ინტეგრაცია ეყრდნობა გამარტითანებელ ნიშან-თვისებებს.

შეხედულება, რომ სხვადასხვაგვარ მოვლენებს—ფიზიკურს, ფიზიოლოგიურს თუ ფსიქიკურს, გარდა სპეციფიკური თავისებურებებისა, აქვთ საერთო კანონზომიერებანი, ეყრდნობა ცნობილ მატერიალისტურ დებულებას სამყაროს მთლიანობის შესახებ, მატერიის ერთიანობის შესახებ. ცხადია, მატერიის ცნებაში ცოცხალი ბუნებაც შედის. ცოცხალ ბუნებაში იგულისხმება ადამიანიც, რომლის ნერვული სისტემის ცენტრს—თავის ტვინს—კ. მარქსმა „მოაზროვნე მატერია“ უწოდა.

მეცნიერების განვითარების პროცესში რომ აუცილებელია და შესაძლებელიც განმაზოგადებელი მეცნიერების შექმნა, ამაზე ლენინიც მიუთითებდა: ...„всеобщий принцип развития надо соединить, связать совместить с всеобщим принципом единства мира, природы, движения, материи“¹..

კიბერნეტიკის განვითარებამ თავისი არსებობის 10—12 წლის მანძილზე საესებით განამტკიცა აზრი, რომ ცოცხალი ორგანიზმების ყოფაქცევისა და ხელოვნური სისტემების მოქმედების ძირითადი კანონზომიერებანი მსგავსი არიან მნიშვნელოვან ნაწილში. ამ ხნის განმავლობაში აღმოცენდა ახალი მეცნიერული ცნებები, განვითარდა რამდენიმე მათემატიკური თეორია, შეიქმნა ახალი მათემატიკური დისკიპლინები. ყველაფერ ამას თან სდევდა იდეების განზოგადება და მეცნიერების განცალკევებული დარგების დაახლოება, — ისეთებისა, როგორიცაა უმაღლესი ნერვული სისტემის ფიზიოლოგია, ინფორმაციის თეორია, ჰავშირის ზოგადი თეორია, მათემატიკური სტატისტიკა, თამაშთა თეორია, ავტომატური რეგულირების თეორია, მათემატიკური ლოგიკა, შემთხვევითი პროცესების თეორია და სხვ.

კიბერნეტიკამ არა მარტო დაახლოვა მეცნიერების სხვადასხვა შტოები, არამედ, რაც მთავარია, ხელი შეუწყო მათ შემდგომ განვითარებას. თანდათანობით შეიქმნა კვლევის ახალი მეთოდები, დაისახა პერსპექტივა ისეთი როლი მეცნიერული და ტექნიკური ამოცანების ამოხსნისა, რომლებსაც ადრე გვერდს უვლიდნენ სინელეების გამო.

¹⁾ В. И. Ленин Философские тетради. стр. 239, 1947 г.

კვლევის საგნის თავისებურებათა მიხედვით კიბერნეტიკა იყო—
ფა სამ ნაწილად: თეორიულ, ტექნიკურ და გამოყენებით კიბერნეტიკად.

თეორიული კიბერნეტიკა იქვლევს მართვის თეორიის საკითხებს, მის მათემატიკურ და ლოგიკურ საფუძვლებს.

ტექნიკურ კიბერნეტიკას საქმე აქვს იმ კონკრეტულ ტექნიკურ საშუალებებსა და სისტემებთან, რომლებიც დღეს გამოიყენება მართვად მოწყობილობებში.

გამოყენებითი კიბერნეტიკა დაკავშირებულია კიბერნეტიკის თეორიული საფუძვლებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებასთან ადამიანის მოღვაწეობის კონკრეტულ დარგებში (გამოყენებითი ლინგვისტიკა, წარმოების ავტომატიზაცია, ეკონომიკის დაგეგმვა, სატრანსპორტო საშუალებათა მართვა, კავშირგაბმულობა, მედიცინა და სხვ.). დაყოფა, ცხადია, მიახლოებითია, მით უმეტეს, რომ მეცნიერების ეს ახალი დარგი ზრდის ინტენსიურ პროცესს განიცდის.

კიბერნეტიკის წარმოშობა გაპირობებული იყო, კერძოდ, მართვის პროცესების ავტომატიზაციის საჭიროებით. ცნობილია, რომ მეოცე საუკუნეში ტექნიკა შეიძრა ადამიანის მოღვაწეობისა და ყოფაცხოვრების ყველა სფეროში. საწარმოო პროცესები სულ უფრო მაღალი ტემპით მიმდინარეობს, ხშირად ისეთი სისტრატეგია, რომ ადამიანს არ ძალუდს მათი მართვა. საქმე ისაა, რომ ჩვენი გრძნობის ორგანოები ვერ ასწრებენ მათ აღქმას. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ თვალის მაგალითი.

ტყუილად კი არ ამბობენ, „გაგონილს ნახული სჯობიაო“. თურმე მხედველობა ადამიანს აწვდის ოცდაათჯერ მეტი რაოდენობის ინფორმაციას, ვიდრე სმენა. თვალი, მართლაც, სრულყოფილი ორგანოა, მაგრამ საქმარისია საგნები ერთმანეთს ხუთჯერ ცვლიდნენ წამში, რომ ისინი გაუჩინარდნენ. ურმის თვალზე ცალკეული სოლი აშეარად შეინიშნება, სწრაფად მიმავალი ეტლის თვალზე მისი გარჩევა უკვე ძნელია, მიმქროლავი მანქანის თვალზე კი მისი დანახვა შეუძლებელია. ასევეა კინოში: თუ სურათს ნელა გაუშვებთ, ცალკეულ კადრებსაც გაარჩევთ, თუ ნორმალურად— კადრები ისეთი სისტრატეგით ცვლიან ერთმანეთს, რომ ცალკეული სტატიკური კადრების მიმდევრობა უწყვეტი მოძრაობის შთაბეჭდილებას ქმნის. ფერების შეგრძნებაშიც იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე. ცნობილია სასკოლო ცდა: მრგვალი ფირფიტის შვიდ სეჭ-

ტორზე გაკრულია სხვადასხვა ფერის ქაღალდები (ჭითელი, ყვითელი... ისისფერი), რომლებიც ნელი ბრუნვის დროს განცალევებით მოჩანან, სწრაფი ბრუნვისას კი ქრებიან—ქმნიან მოთეთრო ფერის შთაბეჭდილებას.

თუ თვალი, ეს მეტად ზუსტი და მგრძნობიარე ორგანო, შედარებით სწრაფად მოძრავ საგნებს ან ვერ არჩევს, ან დამახინჯებულად წარმოგვიდგენს მაშინ სმენისა და გრძნობის სხვა ორგანოებს მით უფრო ნაკლებად უნდა ვენდოთ.

გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ბუნების მოვლენების მეტად დიდი ნაწილის უშუალოდ დანახვა, მოსმენა, დაყნოსვა, შეხებით და გემოვნებით შეგრძნობა ყოვლად შეუძლებელია. თვალი გრძნობს ელექტრომაგნიტური რხევის უაღრესად ვიწრო ინტერვალს, რომელიც მთელი სპექტრის მემილიარდედსაც არ შეადგენს. მხედველობის გარეშე რჩება წითელზე დაბალი და იისფერზე მაღალი სიხშირის ყველა რხევა, რომლების ჩამოთვლა ჩვენ დაგვაშორებდა მსჯელობის საგანს, ყური შეიგრძნობს ბეგრას, რომლის სიხშირე 16 ჰერცზე მეტია და 20.000 ჰერცზე ნაკლები. მაგრამ ბუნებასა და თანამედროვე წარმოებაში სიხშირეები მნიშვნელოვნად სცილდება აღნიშნულ საზღვრებს. სხვათა შორის, არიან ორგანიზმები, რომელთა ცალკეული ორგანოები გაცილებით უფრო სრულყოფილია, ვიდრე ადამიანისა. ზოგი თევზი შეიგრძნობს რაღიოტალლას, ზოგი ცხოველი კი ისეთ ბეგრას, რომელიც 40.000 ჰერცზე მეტი სიხშირისაა.

ადამიანმა თავისი გრძნობის ორგანოები გააძლიერა ისეთი ხელსაწყოებით, რომელთა „მხედველობის“, „სმენის“ და „გრძნობის“ სხვა საშუალებანი ათასჯერ და ასიათასჯერ, თუ მილიონჯერ არა, უფრო მეტია, ვიდრე ბუნებრივი ორგანოებისა.

ზემოთ დასმულ საკითხს—ადამიანის უნარის შესახებ უშუალოდ მართოს პროცესები—საჭიროა მივუდგეთ მეორე მხრიდანაც. ვთქვათ, ჩვენი თვალი—და ყური იმდენად სრულყოფილია, რომ დროზე შენიშნავენ ადამიანისათვის საინტერესო მოვლენებს. გრძნობის ორგანოდან სიგნალი გადაეცემა თავის ტვინს, რომელიც დროის გარკვეულ ინტერვალში გამოიმუშავებს გადაწყვეტილებას, უკანასკნელი კი ნერვების საშუალებით გადაეცემა შემსრულებელ ორგანოს, მაგალითად ხელს. მიღებული განკარგულების შესასრულებლად ხელის გარკვეული კუნთები იკუმშებიან და დუნდებიან. ყველაფერი ეს მოძიხებული საკმაოდ ბევრ დროს იმ დროსთან შედარებით, რომელიც საჭიროა, ვთქვათ, ხიფათის თავიდან ასაცდენად.

მეორე მსოფლიო ომის დროს მწვავედ დაისვა საკითხი ასეთი
მექანიზმის შექმნისა, რომელიც შეცვლიდა ადამიანის უურადღებას;
მის მეხსიერებას და ნაწილობრივ მის ლოგიკურ ფუნქციებს.

კონკრეტულად რომ ვთქვათ, საჭირო იყო ისეთი მოწყობილო-
ბის შექმნა, რომელიც მტრის თვითმფრინავს ავტომატურად ამო-
ილებდა მიზანში და სათანადო მომენტში საზენიტო არტილერიას
აამოქმედებდა. ეს ამოცანა მოითხოვდა ტექნიკურ მოწყობილობათა
მოქმედების მართვას მოძრაობის გათვალასწი-
ნებით. საჭიროა, მაშასადამე, როგორც მანევრირებაში მყოფი თვით-
მფრინავის ტრაექტორიის მოსალოდნელი გაგრძელების სწრაფი გა-
მოანგარიშება, ისე ქვემეხისათვის შესაბამისი მიმართულების უზრუნ-
ვლყოფა და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანა ადამიანის მარეგულირებელი,
მმართველი როლის შეცვლის შესახებ სათანადო მექანიზმებით
ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო დასმული და ნაწილობ-
რივ გადაწყვეტილი წყლის წისქვილის სახით. ურარტუსა და სა-
ქართველოში უფრო ადრე შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო
წყლის წისქვილი, ვიდრე ანტიკურ რომში. წისქვილს გააჩნია მუ-
შაობის მარეგულირებელი მოწყობილობა, რომელიც მრავალი სა-
უნის წინ იყო ჩვენთან ხმარებაში. წისქვილის დოლაბში მარცვ-
ლის მიწოდება მით უფრო დიდი რაოდენობით ხდება, რაც უფრო
სწრაფად ბრუნავს წისქვილი. საქმე ისაა, რომ დოლაბის ხორქლიან
ზედაპირს ეხება „სარეკელა“, რომელიც მეორე ბოლოთი დაკავში-
რებულია სამარცვლე ყუთზე (ხვიმირზე) შედარებით თავისუფლად
მიმაგრებულ ღართან, საიდანაც მარცვალი დოლაბში ცვიგი. თუ
დოლაბის ბრუნვა შენელდა, სარეკელაც შეანელებს ღარის რხევას
და, მაშასადამე, მარცვლის მიწოდების სიჩქარეს; დოლაბის ქვებს
შორის შემცირდება საფეხვავი, მაშასადამე—ხახუნიც, ეს კი განაპი-
რობებს დოლაბის ბრუნვის აჩქარებას. აჩქარება გაგრძელდება მანამ,
სანამ არ აღდგება ბრუნვის ოპტიმალური სიჩქარე.

ამრიგად, წისქვილი მუშაობს სიჩქარების გარკვეულ ოპტიმა-
ლურ ინტერვალში. ამასთან ავტომატურად ხდება ფქვის რეგული-
რება მარცვლის სიმაგრის მიხედვით, რადგანაც დოლაბის ხახუნ-
თან დაკავშირებულ სიჩქარეზე გავლენას ახდენს არა მარტო მიწო-
დებული მარცვლის რაოდენობა, არამედ მარცვლის სიმაგრეც.

მოყვანილი მაგალითი წარმოდგენას იძლევა ავტომატურ მართვაზე, რომელშიც გამოყენებულია უკუკავშირის მქონე მმართველი მოწყობილობა—დოლაბის ბრუნვის სიჩქარეზე ცნობა, ინფორმაცია გადაეცემა მარცვლის მიმწოდებელ მოწყობილობას.

შემდეგში ორთქლის მანქანებსა და ძრავებშიც იქნა გამოყენებული ავტომატური მართვის თავისებურებანი, რომელთა მეცნიერული განზოგადება, მათემატიკური სახით ჩამოყალიბება, მოხერხდა მხოლოდ ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულში.

სამხედრო აერაციის ამოცანებით დაინტერესებულმა ნ. ვინერმა გამოიყვლია ის ზოგადი ხასიათის კანონზომიერებანი, რომლებიც უნდა ახასიათებდეს ავტომატურ რეგულირებასა და მართვას ხელოვნურ (ტექნიკურ) თუ ბუნებრივ (ცოცხალ) სისტემებში. მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგების მონაპოვარზე დაყრდნობით მან აღმოაჩინა ის საერთო კანონზომიერებანი, რომლებიც ახასიათებს უკელა დინამიკურ სისტემას,—მან შექმნა ახალი, მეტად თავისებური და უაღრესად პერსპექტიული მეცნიერება, რომელსაც კიბერნეტიკა უწოდა.

კიბერნეტიკის წარმოშობის ტექნიკურ წინაპირობად, გარდა უკვე ზემოთ დახასიათებული ავტომატური რეგულირებისა; უნდა ჩაითვალოს გამოთვლითი ტექნიკის განვითარების შედეგად მოპოვებული წარმატებანი.

გამოთვლითი ტექნიკა დღეს ფართოდ გამოიყენება მრავალნაირი გამოთვლების ჩასატარებლად მეცნიერებისა, ტექნიკისა და ეკონომიკის დარგში.

ანგარიშისა და გამოთვლების საჭიროება წარმოიქმნა აღამიანთა საზოგადოების პრაქტიკული მოთხოვნილების საფუძველზე.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ბაბილონელები, ინდუსტრი, არაბები, ბერძნები, ეგვიპტელები რიცხვით ანალიზს იყენებდნენ ასტრონომიული ცხრილების შედგენისათვის, აგრეთვე ფართისა და მოცულობის გაზომვისათვის.

იმ დროს გამოთვლის ხერხები რომ განვითარების შედარებით მაღალ დონეზე იმყოფებოდა, ამაზე მეტყველებენ დღემდე შემორჩენილი უძველესი ძეგლები ხუროთმოძღვრებისა ინდოეთში, ინდონეზიაში და აზიისა და აფრიკის მრავალ სხვა ადგილას, აგრეთვე გრანდიოზული სარწყავი სისტემა ეგვიპტეში.

მაგრამ გამოთვლის მეთოდების ფართო განვითარება აღინიშ-

ნება მხოლოდ XVII ს., როცა შეიქმნა ლოგარითმების ცხრილი და ლოგარითმული შიმშა.

საყოველთაოდ ცნობილი არითმომეტრის მექანიზმი გათვალისწინებულია ხელით მუშაობისათვის, რაც ცხადია, ზღუდავს მისი გამოყენების შესაძლებლობას. საათში მასზე შეიძლება 200—250 არითმეტიკული მოქმედება ოთხნიშნა რიცხვზე.

ხელის არითმომეტრთან შედარებით გაცილებით უფრო სჭრად მუშაობს ელექტრული არითმომეტრი, რომელშიც თერმოციენტი თითქმის ავტომატურად წარმოებს.

დიდი წვლილი შეიტანა გამოთვლითი ტექნიკის განვითარების საქმეში ცნობილმა რუსმა მეცნიერმა აკადემიკოსმა პ. ჩებიშევმა. 1882 წ. მან აღმოაჩინა რიცხვების უწყვეტი დაგროვებისა და ათეულების გადაცემის პრინციპი, რასაც ეყრდნობა მრავალი თანამედროვე სათვლელი მანქანის კონსტრუქცია.

საჭყისი მონაცემების შეყვანა სათვლელ მანქანაში წარმოებს არა ხელით, არამედ ეგრეთწოდებული პერფორაციული ბარათის საშუალებით.

საჭყისი მონაცემები წინასწარ იშიფრება—ციფრებით აღინიშნება, ხოლო ციფრები გადაიტანება პერფორაციულ ბარათზე ნახვრეტების სახით სპეციალური მანქანით—პერფორატორით.

საანგარიშო პერფორაციული (სხვანაირად—საანგარიშო-ანალიზური მანქანები) წარმატებით ასრულებენ საბუღალტრო აღრიცხვის, სტატისტიკისა და დაგეგმვის სხვადასხვა ამოცანებს.

მაგრამ ასეთი მანქანის მუშაობის სისტრატის ზრდა მეტად შეზღუდულია იმით, რომ მასში გამოყენებულია მექანიკური და ელექტრომექანიკური ელემენტები, რომელთა მოქმედება ინერციულია.

საანგარიშო-პერფორაციულმა მანქანებმა ნიადაგი შეუქმნა ელექტრონული მანქანების წარმოშობას, რომლებიც თითქმის უინერციოდ მუშაობენ და ამიტომ შეუძლიათ ათიათასჯერ გაზარდონ თვლის სისტრატი.

ელექტრონული გამომთვლელი მანქანები გამოიგონეს დაახლოებით 15 წლის წინათ.

ელექტრონული მანქანების განვითარებასაც ახასიათებს ის ორი მიმართულება, რომლებიც გამოთვლითს ტექნიკას თან სდევს მთელი თავისი არსებობის მანქანიზმებს,

პირველ მიმართულებას ეკუთვნის უწყვეტი მოქმედების ტიპის მანქანები ანუ მანქანა-მოდელები. ზოგიერთ მათგანს უწოდებენ

აგრეთვე ინტეგრატორებსა და დიფერენციალურ ანალიზატორებს.
ამგვარი მანქანების პროტოტიპია ჩვეულებრივი ლოგარითმული
შიმშა.

მეორე მიმართულება წარმოდგენილია მრავალი სახისა და
სირთულის გამომთვლელი მანქანით, რომელიც ცნობილია წყვე-
ტილი (დისკრეტული) მოქმედების ანუ ციფრული მანქანების სა-
ხელშოდებით. ამ მანქანების გრძელი მწყრივის სათავეშია ჩვეულებ-
რივი საანგარიშო საკანცელარიო სამუშაოზე და ვაჭრობაში რომ
გამოიყენება, ხოლო ბოლოში – ელექტრონულ-ციფრული მანქანები
საპროგრამო მოწყობილობით.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „მანქანას“ გამოვ-
ლით საქმეში სხვა აზრი აქვს ვიდრე წარმოებაში, სადაც მანქანის
მთავარი დანიშნულებაა მექანიკური სამუშაოების შესრულება, სიმ-
ძიმეების გადაადგილება ან ენერგიის გარდაქმნა.

თუ ენერგეტიკაში თვითმიზანს ენერგიის გადაცემა და ეფექ-
ტურად გარდაქმნა შეადგენს, კავშირგაბმულობის სისტემაში იგი
მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი; მიზანი მდგომარეობს ინფორ-
მაციის დაუმახინჯებლად გადაცემაში.

გამოთვლითი მანქანის დანიშნულებაა გადაამუშაოს მიღებული
რიცხობრივი მასალა, ცნობა, ინფორმაცია.

როგორც ინფორმაციის გარდამეტნელი მოწყობილობა, გამომ-
თვლელი მანქანა დიდ სამსახურს უწევს ადამიანს გონიერივი ხა-
სიათის სამუშაოს შესრულებაში, მეცნიერებისა და ტექნიკის წინა-
შე მდგომი რთული და შრომატევადი ამოცანების ამოხსნაში, თუმ-
ცა ეს მოითხოვს გარკვეული ფიზიკური პროცესების მიმდინარეო-
ბის წინასწარ შესწავლას მოდელების გამოყენებით.

¶ დინამიკურ მოდელირებას განსაკუთრებით მიმართავენ რთული
ენერგოსისტემების დაპროექტებისას, რომელთა აგება მიღიარდო-
ბით მანეთი ჯდება. დინამიკური მოდელები საკმაო სიზუსტით გა-
მოსახვენ მომავალი ენერგოსისტემის მუშაობას და ხელს უწყობენ
მათში მიმდინარე პროცესების შესწავლას.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტრო-დინამიკურ
მოდელირებას, იქიდან ჩანს, რომ ასეთი მოდელების შექმნისათვის
მ. კოსტენკოსა და ვ. ვენიკოვს 1958 წ. ლენინური პრემია მიენიჭათ.

მოდელირება შემდეგში მდგომარეობს. ჩეალური მოვლენის ან
კონსტრუქციის გამოთვლა დაიყვანება ფიზიკური მოდელის გარე-
ვიული სიდიდეების გაზომვაზე. კონსტრუქტორი ღებულობს ცნო-

ბას დასაპროექტებელი ობიექტის სხვადასხვა პირობებში მუშაობის
შესახებ.

ასეთი ცოდნა შესაძლებლობას იძლევა შეჩრჩეულ იქნეს ოპტი-
მალური კონსტრუქცია, მუშაობის რეჟიმი, საჭირო მასალა და სხვ.
მამოდელირებელი უნივერსალური მანქანა მომავალ რეალურ პრო-
ცესს თვალნათლივ უჩვენებს ლაბორატორიულ პირობებში. ზოგ-
ჯერ ეს მანქანა ცდებს აწარმოებს კონსტრუირებად ობიექტზე მის
შექცნამდე, ასე ვთქვათ, დაპროექტებამდე.

ხშირად ელექტრული და მექანიკური მოვლენები მიმდინარეო-
ბენ ერთი და იმავე კანონის შესაბამისად. ამიტომ მექანიკური მოვ-
ლენის ნაცვლად ცდა შეგვიძლია ჩავატაროთ შესაბამის ელექტრულ
მოვლენაზე.

ანალოგიები მოინახება ფიზიკურ პროცესებს შორის მექანიკა-
ზი, აეროდინამიკაზი, მაგნეტიზმი, ელექტრობაზი, ჰიდროდინამი-
კაზი და ა. შ.

ამიტომ შესაძლებლობა არსებობს მოდელირება ჩავატაროთ
სხვა ფიზიკური ბუნების მოვლენაზე, რომელიც შეიძლება უფრო
ადვილად განხორციელდეს ლაბორატორიაში, ვიდრე შესასწავლი
მოვლენა. ლაბორატორიულ პირობებში შედარებით იოლია აღსად-
გნად და შესასწავლად ელექტრული მოვლენები. ამიტომ ფართო
გავრცელება პოვა ელექტრულმა მოდელირებამ. ცნობილია მოწყო-
ბილობანი, რომლებიც ამოდელებენ ადამიანის გულის მუშაობას,
ატომური რეაქტორის მუშაობას, რთულ ორგანულ ნაერობებს.

მაგრამ ფიზიკური მოდელირება ყოველთვის როდია შესაძლე-
ბელი. მაგალითად, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მოდელს
ვერ მიანიჭებთ ლაბორატორიაში მისთვის დამახასიათებელ სიჩქა-
რეს, რომელიც ნ-ჯერ აღმატება ზარბაზნის ყუმბარის სიჩქარეს.

მეცნიერებმა აქაც გამონახეს ამოცანის ამოხსნის ხერხი. ცნო-
ბილია, რომ ფიზიკური მოვლენების აღწერა, როგორც წესი, შეიძ-
ლება მათემატიკურ ენაზე, ვთქვათ დიფერენციალური განტოლე-
ბით. ისიც დადგენილია, რომ რიგი სხვადასხვა ფიზიკური მოვლე-
ნა გამოიხატება ერთი და იმავე დიფერენციალური განტოლებით
ან განტოლებათა სისტემით. მაგალითად, ციური სხეულის მოძ-
რაობა და გემის ხრახნის ბრუნვა მათემატიკურად ერთნაირი კა-
ონ ზომიერებით ხასიათდება. ამიტომ შეიძლება სრულებითაც არ
მიემართოთ ფიზიკურ მოდელირებას და დავკმაყოფილდეთ „მათე-
მატიკური მოდელირებით“, ე. ი. განტოლების ამოხსნით მასში შე-

შავალი სიღიღების სხვადასხვა მნიშვნელობისათვის. შედეგი მიიღება გრაფიკების სახით, რომლებიც ასახავენ შესწავლილი პროცესის მიმღინარეობას.

რა სახით შეიძლება დიფერენციალური განტოლების შეყვანა მანქანაში? განტოლებაში შემავალი ყველა საწყისი ცვლადი მანქანაში აღისახება სათანადო ელექტრული ძაბვით. ძაბვათა შორის მანქანაში მყარდება ისეთი ურთიერთდამოკიდებულებანი, როგორიც არსებობს განტოლების წევრთა შორის. მათემატიკური სიღიღების მაგივრად მამოდელირებელი ელექტრონული მანქანა ოპერაციებს ატარებს მთელ რიგ ძაბვასთან.

საბჭოთა კავშირში შექმნილია ელექტრონული მამოდელირებელი მანქანა მეMU—8, რომელსაც შეუძლია ამოხსნას მე-12 რიგის დიფერენციალური განტოლება. მისი საშუალებით შეიძლება ბალისტიკური რაკეტის მართვის სისტემის მუშაობის შესწავლა, როგორიც ფიზიკური მოვლენების დინამიკური პროცესების განტოლებათა ზუსტი ამოხსნა.

მეMU—8 საშუალებას აძლევს კონსტრუქტორებს შეამოწმონ, თუ როგორ მოძრაობს დასაპროექტებელი თვითმფრინავი შესაძლო მდგომარეობებში და სხვადასხვა ვითარებაში.

გონებით წარმოდგენილი თვითმფრინავის ტრაექტორია თსკილოგრაფის ეკრანზე გამოჩნდება წერტილოვანი მოდელის მოძრაობის სახით. ეკრანი უჩვენებს თვითმფრინავის რეაქციას საჭის მოძრაობაზე და სხვ. მრავალი შესაძლებლობიდან კონსტრუქტორი ისეთ მონაცემებზე შეჩერდება, რომლებიც ოპტიმალურად უპასუხებენ ჩანაფიქრი თვისებების მქონე თვითმფრინავის შექმნას.

მეMU—8 იმდენად უნივერსალურია, რომ მას შეუძლია მოდელირება როგორც კოსმოსური ხომალდის ფრენის, ისე მომავალი გეოლოგიური პროცესებისა. შედეგები ამ შემთხვევაშიც ეკრანზე გამოჩნდება.

ადვილად წარმოსადგენია, თუ რა დიდ ეკონომიას უნდა იძლეოდეს ასეთი მანქანების გამოყენება მსხვილი ობიექტების, მაგალითად, საოკეანო გეშების დაპროექტებისას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მართვადი ყუმბარის შესწავლასთან დაკავშირებული მოდელირების შედეგად მიღებული ეკონომია 250 მილიონი დოლარით განისაზღვრება, მაშინ როცა თვითმამოდელირებელი მანქანა 1,5 მილიონი დოლარი დაჯდა.

სენებული ტიპის მანქანები მნიშვნელოვნად ააღვილებენ ადა-

მიანის შრომას და ძალიან ამცირებენ ახალი სამრეწველო და სამხედრო ტექნიკის დაპროექტებისა და შექმნის ვადებს.

რაც შეეხება ელექტრონულ-ციფრულ გამომთვლელ მანქანებს, აյ ჩვენ მათ შევეხებით მხოლოდ ზოგადი თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ელექტრონულ-ციფრული მანქანა ერთ სეკუნდში ასრულებს რამდენიმე ასიათას არითმეტიკულ ოპერაციას.

ლიტერატურაში ცნობილია, რომ მათემატიკოსმა ლ. ცეილენმა მთელი სიცოცხლე მოანდომა π—რიცხვის (π) შეფარდება მის დიამეტრთან) 34 ნიშნის სიზუსტით გამოთვლას. ელექტრონულმა მანქანამ კი 75 საათის განმავლობაში გამოთვალა ეს რიცხვი 2035 ნიშნის სიზუსტით.

წარმოებაში 1961 წ. გამოსაყენებლად საზღვარგარეთ დაპროექტებულია მანქანა, რომელმაც 900 ათასი ოპერაცია უნდა შეასრულოს ერთ სეკუნდში. მას დაევალება ქარხნის მუშაობის მართვა.

გარდა განსაცვიფრებელი სისტრატეისა, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის უპირატესობა მდგომარეობს გამოთვლების დიდ სიზუსტეში, რაც უზრუნველყოფილია ანგარიშის ციფრობრივი პრინციბის გამოყენებით; ციფრობრივი ანგარიშის ღროს სიზუსტე დამოკიდებულია მხოლოდ მოწყობილობის მოცულობაზე.

მანქანის დიდ ლირსებად ისიც ჩაითვლება, რომ მასზე შეიძლება სხვადასხვა სახის, სხვადასხვა ტიპის მათემატიკური ამოცანების ამოხსნა.

ხსნებული სახის ციფრული ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა პირველად შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატები (პენსილვანიის უნივერსიტეტი) მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე, 1943 წ. ამგამად გამოთვლითი ტექნიკა საბჭოთა კავშირში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, აშშ,—ებში ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური კვლევისა და სამრეწველო წარმოების დამოუკიდებელ დარგს.

ჩვენთან პირველი ელექტრონული მანქანა (MBCM) შეიქმნა უკრაინაში აკადემიკოს ლებედევის ხელმძღვანელობით. მასზე 1951 წ. გათვლილ იქნა კუიბიშევიდან მოსკოვში ელექტრონერგიის გადაცემის ამოცანა.

1953 წლიდან ექსპლოატაციაში იმყოფება მანქანა BBCM, რომელიც ევროპაში ყველაზე სრულყოფილი და სწრაფმოქმედია. ერთ

სეკუნდში იგი ასრულებს 8000-მდე ოპერაციას ცხრანიშნა ~~წილი~~
ვებზე. 1956 წ. განმავლობაში ნეცმ-ზე შესრულდა იმდენი გამო-
თვლა, რასაც 10.000 მათემატიკოსი ვერ შეასრულებდა 20 წლის
განმავლობაზი. უკვე შეიქმნა გაუმჯობესებული სახის მანქანა
ნეცმ—2, ჩვენი მრეწველობა უშვებს სწრაფმოქმედ უნივერსალურ
ციფრულ მანქანა „სტრელას“, რომელსაც აქვს 6.400 ელექტრონუ-
ლი მილაკი, 160.000 სხვადასხვა დეტალი, იწონის 33 ტონას. შექმნი-
ლია აგრეთვე სხვა გამომთვლელი უნივერსალური მანქანები რო-
გორც საშუალო, ისე მცირე ზომისა, ასეთებია, მაგალითად, M—2
და M 3, „ურალი“.

ამინდის პროგნოზებისათვის არის სპეციალური მანქანა „პო-
გოდა“. იგი ღებულობს მონაცემებს როგორც ჩვეულებრივი, ისე
ავტომატური მეტროლოგიური საღაურებიდან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ანალოგიური დანიშნულების
მანქანა „მანიაქა“ 12 საათით იდრე იწინასწარმეტყველა დაგილი,
დრო და ძალა იმ ქარიშხლისა, რომელიც ამოვარდა 1952 წ.
5 ნოემბერს და 1953 წ. 24 ნოემბერს.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამასთან დაკავ-
შირებით „პოგოდისა“ და „მანიაქის“ მსგავსმა მანქანებმა რამდე-
ნიმე თვის განმავლობაში დაამუშავეს კლიმატური მონაცემები,
რომლებიც დაგროვილი იყო ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ამე-
რიკაში 150 წლის განმავლობაში. მიღებული შედეგები შეადგენენ
20-მდე მოზრდილ ტომს.

იქმნება ახალი ელექტრონული მანქანები. გამოქვეყნებულია
ცნობა, რომ აშშ მანქანა „შტრეჯს“ უნარი ექნება სეკუნდში 2
მილიონი შეკრება ჩატაროს.

სწრაფმოქმედ ელექტრონულ მანქანებს იყენებენ მეცნიერებისა
და ტექნიკის მრავალ დარგში. მათი შემწეობით ხსნიან რთულ მა-
თემატიკურ ამოცანებს, მართავენ დაზგაზე დეტალების წარმოების
პროცესებს, ახორციელებენ თვითმმარინების აფრენა-დაშვებას,
თარგმნიან ტექსტებს ერთი ენიდან მეორეზე და სხვ.

ასეთია კიბერნეტიკის ზოგიერთი ძირითადი ტექნიკური წინა-
პირობა.

რაც შეეხება კიბერნეტიკის მეცნიერულ წინაპირობებს, აქ პირ-
ველ რიგში უნდა აღინიშნოს მათემატიკის ისეთი დარგები, რო-
გორიცაა ალბათობათა თეორია, მათემატიკური ლოგიკა, ფუნქცია-
თა თეორია, აგრეთვე ენათმეცნიერება, ბიოლოგია...

მათემატიკის ხსენებული დარგების განვითარებაში დიდი თეო-

როული წვლილი აქვთ შეტანილი ჩვენს მეცნიერებს—პ. ჩებიშვეს,
ა. კრილოვს, ა. კოლმოგოროვს, ა. ხინჩინს და სხვ.

თავის მეთოდით, როგორც ვხედავთ, კიბერნეტიკა ყველაზე
ახლოს დგას მათემატიკასთან. სწორედ მათემატიკა იძლევა საფუ-
ძველს რაოდენობრივი ანალიგიებისათვის ისეთ მეტად განსხვავე-
ბულ პროცესებს შორის, როგორიცაა მანქანის მუშაობა, ცოცხალი-
ორგანიზმის ყოფაჯუვა და ზოგიერთი საზოგადოებრივი მოვლენა.

რა თქმა უნდა, ანალოგიები არსებითად სხვადასხვაგვარ მოვ-
ლენებს შორის დასაშვებია გარკვეულ ასპექტში და ისიც მიახლოე-
ბით. ნ. ვინერმა მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ ყველა ხსე-
ნებულ სისტემაში ადგილი აქვს მმართველ და მართვად ნაწილებს,
რომლებიც გარკვეული ხასიათის ურთიერთკავშირში იმყოფებიან.
ამ კავშირების რაოდენობრივი ანალიზი შესაძლებელია ინფორმა-
ციის თეორიის საფუძველზე.

განსხვავებით იმისაგან, რასაც ინფორმაციაში გულისხმობენ
საერთო სალიტერატურო ენაში, კიბერნეტიკაში ინფორმაცია წმინ-
და რაოდენობრივი ცნებაა. კიბერნეტიკას არ აინტერესებს მისი
შინაარსი და გადაცემის მატერიალური საშუალებანი.

ჩვეულებრივად ინფორმაციაში გულისხმობენ იმ ცნობებს, რომ-
ლებსაც ადამიანი ღებულობს გარემოსთან ურთიერთობის პროცეს-
ში. რაღიც, კინოს, ტელევიზორის, გაზეთის, წიგნის საშუალებით
მოწოდებული ან ამხანაგთან საუბარში მიღებული ცნობები ინ-
ფორმაციად ითვლება. გამყიდველი ან მყიდველი სასწორის ისრის
საშუალებით ღებულობს ინფორმაციას პროდუქტის წონაზე. კვლე-
ვითი რეაქტორის ოპერატორი რეაქტორის მდგომარეობის შესახებ
მსჯელობს იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც უჩვენებს ის-
რები სათანადო ხელსაწყობის ციფრობლატზე. ამგარი მაგალითე-
ბი უამრავია ჩვენს გარშემო, შეგრძნების ორგანოები განუწყვეტ-
ლივ აწედიან ადამიანს ათასნაირ ცნობას, ინფორმაციას.

ინფორმაციის წყარო და ინფორმაციის გადაცემათა საშუალე-
ბანი დიდი ნაირსახეობითადა მრავალფეროვნებით ხასიათდებიან.
გაცილებით უფრო მრავალფეროვანია თავისი შინაარსით, ხასია-
თით და მნიშვნელობით თვით ინფორმაცია. მეცნიერებისა და ტექ-
ნიკის მიღწევები, კულტურული განძეულობანი, რაც კაცობრიობას
შეუქმნია თავისი არსებობის მრავალი ათასი წლის მანძილზე, ხალხ-
თა და გამოჩენილ პიროვნებათა ისტორია, ყოველგვარი ცნობა არა

მარტო წარსულსა და აწმყობე, არამედ მომავალზეც ინფორმაცია წარმოადგენს. ასე გაგებული ინფორმაციის მიმღებად საბოლოო ანგარიშში შეიძლება იყოს შხოლოდ ადამიანი—გონიერი არსება კათგად განვითარებული შეგრძნების ორგანოებითა და მიღებული ცნობების საჭიროების მიხედვით გამოყენების უნარით. ადამიანი კი ხშირად სუბიექტურად ეპყრობა მიღებულ ინფორმაციას.

უცნობი ფაქტისა და მოულოდნელი ამბის გაგება ზოგ ადამიანში აღმრავს ემოციებს, ზოგში—არა. ცნობა, რომ თქვენმა საყვარელმა ფალავანმა მეტოქეზე გაიმარჯვა, თქვენ გაგახარებთ, მეტოქის ამხანაგს დაანალვლიანებს, ხოლო სპორტისადმი გულგრილ ადამიანზე, რომელიც მეტოქებს სრულებით არ იცნობს, ალბათ არავითარ შოაბეჭდილებას არ მოახდენს. ერთი და იმავე ცნობის მიმართ ადამიანები სხვადასხვა დამოკიდებულებას იჩენენ. უფრო მეტიც, ზოგჯერ ერთი და იგივე ადამიანი ერთსა და იმავე ცნობას ერთ შემთხვევაში სიამოვნებით მიიღებს, მეორეში კი გულგრილად, იმისდა მიხედვით, თუ რა განწყობილებაზე იგი. გამოდის, რომ მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობა, ფასი ან, თუ გნებავთ, წონა დამოკიდებული ყოფილა ისეთ სუბიექტურ ფაქტორებზე, როგორიცაა ინტერესი, ემოცია, განწყობილება.

კიბერნეტიკა, როგორც ყოველი სხვა მეცნიერება, ობიექტურ კანონზომიერებას უნდა გამოხატავდეს. იგი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი სუბიექტურობისაგან. ვინაიდან ინფორმაცია ჩვეულებრივი, ყოფაში მიღებული, გაგებით, როგორც ვნახეთ, განუყრელად არის დაკავშირებული სუბიექტურ ინტერესსა და ემოციურ განწყობასთან, ამიტომ კიბერნეტიკა ათავისუფლებს მას ყოველგვარი ადამიანური ელემენტებისაგან და უტოვებს მხოლოდ იმ ობიექტურ ნიშან-თვისებებს, რომლებიც საჭიროა მეცნიერული გარეკვეულობისა და სიზუსტისათვის.

ამასთან კიბერნეტიკა, რომლის მეთოდი ძირითადად მათემატიკურია, ცდილობს ისე განმარტოს ინფორმაცია, რომ მოხერხდეს მისი რაოდენობრივი ანალიზი და ფიზიკური გაზომვა.

ამნაირად განმარტებული ინფორმაცია თავისუფალი იქნება იმ გაუგებრობისა, ორაზროვნებისა და ბუნდოვანებისაგან, რაც თან სდევს სუბიექტურ მოვლენებთან დაკავშირებულ განმარტებას.

მართალია, სასურველია მოგვენახა ინფორმაციის ფასის კრიტერიუმი მომხმარებლის თვალსაზრისით. არის ცდები შეიტანონ

ინფორმაციის განმარტებაში ფასის ცნება, მაგრამ სასურველი შე-
დეგები ჯერჯერობით მიღებული არაა.

კიბერნეტიკა უგულებელყოფს ინფორმაციის განმარტებისას შე-
ყოველივეს, რაც კი რაოდენობრივად ვერ გამოიხატება, ე. ი. არ
იღებს მხედველობაში მოვლენათა თვისებრივ მხარეს. ინფორმაციის
რაოდენობრივი ზომის დადგენისას თვისებრიობა გამორიცხულია.
ინფორმაციის ცნების ასეთი შეზღუდვა სრულებითაც არ ზღუდავს
ინფორმაციის გამოყენების პრაქტიკულ შესაძლებლობას. ცნობი-
ლია, რომ მეცნიერების ის დარგები, რომლებიც ფართოდ იყენე-
ბენ რაოდენობრივი ანალიზის მეთოდებს, მათემატიკურ აპარატს,
დიდი წარმატებით ვითარდებიან. ფიზიკა ამის მქენეთრი მაგალი-
თია. ისიც ცნობილია, რომ ხელოვნური თანამგზავრებისა და კოს-
მოსური რაკეტების გაშვება, ისევე როგორც საერთოდ ტექნიკისა
და თანამედროვე წარმოების განვითარება, აბსოლუტურად შეუძ-
ლებელი იქნებოდა მათემატიკური მეთოდების გამოყენებლად. უფ-
რო მეტიც, ბიოლოგის მნიშვნელოვანი წარმატებანი რიგ შემთხვე-
ვაში სწორედ ფიზიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებითა
გაპირობებული.

სულ უფრო აშკარა ხდება კ. მარქსის აზრის სიბრძნე, რომ
მეცნიერება მხოლოდ მაშინ აღწევს სრულყოფას, როცა ის ახერ-
ხებს მათემატიკის გამოყენებას. ეს ბუნებრივიცა, რადგან მათემა-
ტიკის საგანს წარმოადგენს „რეალური სამყაროს სივრცობრივი და
რაოდენობრივი ფარდობანი“ (ფ. ენგელსი).

ინფორმაციას კიბერნეტიკა იხილავს მათემატიკური მეთოდე-
ბის გამოყენებით, მათემატიკას კი საქმე აქვს სიღილეებთან.

რა არის ინფორმაციის სიღილე, როგორ გავზომოთ იგი?

ინფორმაციის ზომის გამოხატვა მეტად ძნელი საქმეა, რადგან
როგორც ინფორმაცია, ისე ის მატერიალური საშუალებანი, რომ-
ლითაც იგი გადაიცემა, მრავალგვარი და მრავალფეროვანია. ინ-
ფორმაციის რაოდენობრივი დაზასიათებისათვის მხედველობაში მი-
ვიღოთ შეიდეგი გარემოება.

ჩვენ ვიცით, რომ ინფორმაცია საჭირო არის მაშინ, როდესაც
არ მოგვეპოვება საქმაო მონაცემები ჩვენს წინაშე მდგარი ამოცა-
ნის ამოსახსნელად (სიტყვა „ამოცანას“ აქ ფართო მნიშვნელობა
აქვს. მაგალითად, ყოველდღიურად ჩვენ გვიხდება ათეულობით სა-
ყოფაცხოვრებო საკითხების — „ამოცანების“, გადაწყვეტა, თუმცა
ისინი მათემატიკური სახით არ არიან დასმული). ძნელია სამხედ-

რო მპერაციის დაგეგმვა, თუ ხელთ არა გაქვს ცნობები მტრის ძალებისა და მათი განლაგების შესახებ.

რა მოცულობის ცნობებია საჭირო ამოცანის ამოხსნისათვის?

ეს მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კითხვებზე გსურთ მიიღოთ პასუხი. კითხვების ის ნაწილი, რომელიც პასუხგაუცემელი დარჩება, ერთგვარ წარმოდგენას მოგვცემს საჭირო ინფორმაციის ზომაზე. ეს არ იქნება, ცხადია, ზუსტი ზომა, მაგრამ მოცულობის უხევში შეფასების საშუალებას მაინც მოგვცემს.

მაგრამ კითხვაც არის და კითხვაც. რა აზრი აქვს კითხვას, თუ მასზე ერთადერთი პასუხი არსებობს და ისიც თქვენთვის წინასწარ ცნობილი?! ყველაზე მარტივი, მაშასადამე, იქნება ისეთი კითხვა, რომელზეც ორი პასუხის შესაძლებლობა არსებობს. მამისათვის საინტერესოა, ვაჟი შეეძინა მას თუ ქალი. კითხვაზე „ვაჟია?“, მოსალოდნელია მხოლოდ ორი პასუხი: „ჰო“ ან „არა“.

ყველა კითხვა, რომელზედაც პასუხის გაცემის ორი შესაძლებლობა არსებობს, შეიძლება გავაერთიანოთ ორობითი კითხვის სახით. შეიძლება მოინახოს მრავალი კითხვა, რომლებზედაც არსებობს სამი შესაძლო პასუხი და ასე შემდეგ.


კითხვაზე „რომელ თვეში დაიბადა ბავშვი?“, შესაძლოა 12 პასუხი. მაგრამ ამ 12 შესაძლებლობიდან სინამდეილეში ხომ მხოლოდ ერთია განხორციელებული. შევადაროთ ინფორმაციის რაოდენობის თვალსაზრისით ეს პასუხი პასუხს კითხვაზე — „წლის პირველ ნახევარში დაიბადა ბავშვი თუ მეორეში?“ ცხადია, პირველ კითხვაზე მოსალოდნელია 12-ვარიანტიანი პასუხი, მეორეზე — ორგარიანტიანი. ინფორმაციის გაცილებით მეტ რაოდენობას შეიცავს პასუხი პირველ კითხვაზე, ვიდრე მეორეზე.

როთული, მრავალგარიანტიანი პასუხის მქონე კითხვა შეგვიძლია შევცვალოთ ეკვივალენტური ორობითი კითხვების სერიით. ამ დებულების საილუსტრაციოდ განვიხილოთ დიდ ვაგზალში შემავალი მატარებლის ამა თუ იმ ბაქანზე მიღების შესაძლებლობანი.

ვთქვათ, არსებობს რვა ბაქანი: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8. სქემატურად ისინი წარმოდგენილია 1-ელ ნახაზზე.

მაგისტრალზე მომავალი მატარებელი რომ რომელიმე ბაქანზე მოხვდეს მან ლიანდაგის განშტოების პუნქტები სამჯაჭრ უნდა გადაკვეთოს, ე. ი. ნეიტრალურ მდგომარეობაში მყოფი ისრებიდან სამი უნდა იყოს გადაყვანილი ან ერთ, ან მეორე მხარეზე. მაგალითად, თუ მატარებელი მე-7 ბაქანზეა მისაღები, მას ისრის გადაყვა-

ნით A წერტილიდან გაუშვებენ მარჯვენა მხარეს, შემდეგ, როდე-
საც იგი მივა B განშტოებაზე, მას გადაიყვანენ კვლავ მარჯვენა
ლიანდაგზე და, ბოლოს, C წერტილიდან გაუშვებენ მარცხნივ, მე-7
ბაქანზე. ამრიგად, 8 ბაქანიდან ნებისმიერ ბაქანზე მისვლისათვის



ნახ. 1.

საქმარისია სამი სათანადო ისრის გადაყვანა ლიანდაგის განშტოების
პუნქტებში. მაშასადამე, კითხვა, რომელზეც რვაგარიანტიანი პასუხი
არსებობს, შეიძლება შევცვალოთ სამი ორვარიანტიანი კითხვით.

განვაგრძოთ მოყვანილი მაგალითის განხილვა ორობითი კითხ-
ვების თვალსაზრისით. A პუნქტში მისული მატარებლის მემანქა-
ნეს აქვს გზის გაგრძელების ორი შესაძლებლობა — წავიდეს ან მარცხ-
ნივ, ან მარჯვნივ, B პუნქტში მის წინ კვლავ იგივე ალტერნა-
ტივაა — ორი შესაძლებლობიდან ერთი უნდა აირჩიოს. იგივე ალ-
ტერნატივა ისმის C პუნქტში. თუ დისპეტჩერი კარგად იცნობს
ბაქნების განლაგებას, მისთვის საქმარისია ბაქნის ნომრის (ჩვენს
შემთხვევაში № 7) მითითება. რთულ შემთხვევაში კი, შეცდომის
გამორიცხვის მიზნით, დისპეტჩერისათვის უკეთესია იცოდეს, რომ
პირველ განშტოებაზე (A პუნქტში) ისარი უნდა გადაიყვანოს მარჯ-
ვნივ, მეორე განშტოებაზე (B პუნქტში) — ისევ მარჯვნივ, ხოლო
მესამეზე (C პუნქტში) — მარცხნივ. ვინაიდან ინფორმაციის რაოდე-
ნობის მათემატიკური გამოსახვისათვის საჭიროა რიცხვებთან გვქონ-
დეს საქმე, შეგვიძლია ისრის მარჯვნივ გადაყვანა პირობით აღვნიშ-
ნოთ ციფრით 1, ხოლო მარცხნივ — ციფრით 0. ჩვენს მაგალითში
მე-7 ბაქნის პირობითი ნიშანი იქნება 110. ადვილი მისახვედრია,
რომ 1 და 0-ისაგან შედგენილი ყველა სამნიშნა კომბინაციათა რიცხ-
ვი რვას არ აღემატება.

ჩამოვთვალით ყველა შესაძლო კომბინაცია:

000 (ბაქანი 1),	100 (ბაქანი 5),
001 (ბაქანი 2),	101 (ბაქანი 6),
010 (ბაქანი 3),	110 (ბაქანი 7),
011 (ბაქანი 4),	111 (ბაქანი 8).

თუ ახლა დავთქვამთ, რომ პასუხი ერთ ორობით კითხვაზე ჭარბობადგენს ინფორმაციის ერთ ერთეულს, მაშინ კითხვის რეაბით პასუხს უნდა მივაწეროთ ინფორმაციის სამი ერთეული. გამოსახულებაში

$$2 \cdot 2 \cdot 2 = 2^3 = 8$$

ადვილად შეინიშნება, რომ სამი ორობითი კითხვა, მართლაც, ერთი რეაბითი კითხვის ექვივალენტურია. ზოგადად, n -ვარიანტიანი პასუხის მქონე კითხვა დაიყვანება ექვივალენტურ კითხვაზე:

$$n = 2^q.$$

მაგალითად, 4 პასუხიანი კითხვისათვის $q = 2$ ($4 = 2^2$),

8-პასუხიანისათვის $q = 3$ ($8 = 2^3$),

16-პასუხიანისათვის $q = 4$ ($16 = 2^4$),

32-პასუხიანისათვის $q = 5$ ($32 = 2^5$),

და ასე შემდეგ.

როგორც ვხედავთ, n უნდა იყოს ორი, აყვანილი მთელ ხარისხში. ვინაიდან ორობითი კითხვის, ე. ი. უმარტივესი კითხვის ორერთიანტიანი პასუხი ინფორმაციის რაოდენობის ერთეულად მიკიჩინეთ, ხოლო n პასუხიანი კითხვა დაიყვანება q ორობითი კითხვაზე, გამოსახულებაში

$$n = 2^q$$

q იქნება ინფორმაციის რაოდენობა კითხვის n -ვარიანტიან პასუხში.

ინფორმაციის რაოდენობა არის ხარისხის მაჩვენებელი, რომელშიც უნდა ავიყვანოთ 2, რომ მივიღოთ კითხვის n პასუხი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ინფორმაციის რაოდენობა არის n რიცხვის ლოგარითმი 2 ფუძით:

$$q = \log_2 n.$$

ჩვენ ეს ფორმულა გამოვიყვანეთ იმ შემთხვევისათვის, როცა

• ॥ მთელ რიცხვს წარმოადგენს. უწყვეტობის პრინციპის თანახმად
იგი ძალაში რჩება არამთელი ॥-ისთვისაც.

განხილულ მაგალითში ისრის გადაყვანა, რაც პირობით ჩვენ
აღვნიშნეთ 1-ით (მარჯვნივ გადაყვანა) და 0-ით (მარცხნივ გადა-
ყვანა), წარმოადგენს სიგნალს – ნიშანს, თუ საითკენ წავიდეს მა-
ტარებელი. 1-სა და 0-ს ქვეშ ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, ზოგა-
დად რომ ვთქვათ, ყოველგვარი ორობითი სიგნალი. მაგალითად,
ალაბებდჲე აგდებული აბაზიანი მიწაზე დაეცემა ან გერბით, ან
ციფრით ზევით. ამ ორი თანატოლად შესაძლო ვარიანტიდან (თუ
მონეტა არ არის გაღუნული) ერთი და მხოლოდ ერთი განხორ-
ციელდება და ამით მოისპობა ის განუზღვრელობა, რომელიც
ცდამდე არსებობდა.

ერთი შეხედვით ამ უბრალო ოპერაციას — სიგნალების ციფრე-
ბით გამოხატვას — არ უნდა ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა ინფორ-
მაციის თეორიისათვის და გამომთვლელი მანქანებისათვის. სინამ-
დვილეში ასეთი ოპერაცია შესაძლებლობას იძლევა სიგნალების
ნებისმიერი კომბინაცია, რომელიც ციფრებით იქნება გამოსახული,
განვიხილოთ არითმეტიკის თვალსაზრისით — გამოვიყენოთ მის მი-
მართ არითმეტიკის ოთხივე მოქმედება; გვეძლევა შესაძლებლობა
სიგნალებით მოწოდებული ინფორმაცია რაოდენობრივად დავახა-
სიათოთ. რადგან ყველა სახის სიგნალები, — ისინი კი ათასნაირი
მატერიალური საშუალებებით ვლინდებიან, — დაიყვანება ორი ციფ-
რის 0-ის და 1-ის კომბინაციაზე, ხოლო ციფრობრივი მასალის
გადამუშავება დიდი სისწრაფით წარმოებს გამომთვლელ მანქანებში,
იხსნება პერსპექტივა გამოვიყენოთ ელექტრონულ — ციფრული მან-
ქანები ნებისმიერი ამოცანის ამოსახსნელად, თუ ეს უკანასკნელი
ციფრების კომბინაციის სახით იქნება წარმოდგენილი.

ინფორმაციის რაოდენობის განსაზღვრა ჩვენ დაეუკავშირეთ
ორთუმიან ლოგარითმს, როცა ვიხილავდით ორობითი პასუხის
ამოცანას. პრინციპულად ლოგარითმის ფუძედ შეიძლება ავილოთ
ნებისმიერი სხვა მოელი რიცხვი, მაგალითად, 3. ასეთი ფუძის ლო-
გარითმი გამოხატვებს ინფორმაციის რაოდენობას, რომელსაც შეი-
ცავს სამვარიანტიანი პასუხის მქონე კითხვა. აქ უკვე საქმე გვექნე-
ბოდა სამობით თვლასთან, რომელიც მოსახერხებილი იქნებოდა
ჭუჩაზე სიარულის წესებთან დაკავშირებული სიგნალზაციისათ-
ვის — ჭუჩის გადასასვლელის ნიშანსეტს აქვს სამშნიშვნელოვანი სიგ-
ნალი: წითელი, ყვითელი და მწვანე.

შეიძლებოდა ინფორმაციის რაოდენობის გამოსახატავად შემო-
გველო ათფუძიანი ლოგარითმი. მაგრამ ინფორმაციის თეორიის
აპარატისათვის და გამომთვლელ მანქანებში ოპერაციების პრაქტი-
კული განხორციელებისათვის ყველაზე ეკონომიური აღმოჩნდა ორო-
ბითი თვლის სისტემა.

შედარებით მარტივ შემთხვევაში ადვილია კითხვის დასმა და
პასუხის შესაძლო ვარიანტების რიცხვის დათვლა, ე. ი. ინფორმა-
ციის რაოდენობის გაზომვა. სინამდვილეში საჭმე გვაქვს მეტად
რთულ მოვლენებთან.

ლირიკულ ლექსში და ფუნიკულორის ხედის ფოტოსურათში
მოცემული ინფორმაციის რაოდენობის გამოსათვლელად კითხვების
დასაცაც ერთი შეხედვით შეუძლებელია. მაგრამ აქაც გამოინახა
უბრალო გამოსავალი. ლექსი, როგორც ყოველივე სხვა ტექსტი,
საბოლოო ანგარიშში შედგება ასოებისაგან. თუ ანბანში 32 ასოა,
მაშინ შეკითხვაზე — „რომელი ასოა?“ არსებობს პასუხის 32 ვარიან-
ტი, ხოლო მისი ეკვივალენტური ორობითი კითხვის პასუხი იქნება,
როგორც ვიცით, 5 ($32 = 2^5$, აქედან $q = 5$).

ამრიგად, ერთ ასოზე 32-ასოიან ანბანში მოდის ინფორმაციის
ხუთი ერთეული.

როგორი იქნება ინფორმაციის რაოდენობა ლექსში, რომელიც
1000 ნიშნისაგან (ასოსაგან) შედგება?

პასუხი პროზაიკულად უბრალოა:

$$1000 \times 5 = 5000 \text{ ერთეული!}$$

ერთეულში აქაც იგულისხმება ორობითი თვლის სისტემაზე
დაფუძნებული ინფორმაციის ერთეული. რაც შეეხება ინფორმაციის
რაოდენობას ფოტოსურათზე, საკითხი ისმის შემდეგნაირად. სუ-
რათზე ზოგი ადგილი მუქია, ზოგი — ნაკლებად მუქი, ზოგი — ნათე-
ლი და ზოგიც ნაკლებად ნათელი (შეიძლება უფრო დეტალური
გრადაცია, ვთქვათ 8 საფეხურიანი, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო
მომენტის გარკვევისათვის ასეთი გაუბრალოებული მაგალითიც საკ-
მარისია).

ამრიგად, კითხვას, თუ რას წარმოადგენს სურათზე, ვთქვათ,
ჰირველი წერტილი ანუ, უფრო ზუსტად, უჯრედი აქვს ოთხი სხვა-
დასხვა პასუხი, ანუ ორობითი თვლის სისტემაში ორი ორობითი
პასუხი. მაშასადამე, თითოეული უჯრედის ინფორმაციის რაოდე-
ნობა არის 2 ერთეული. თუ სურათზე უჯრედთა რიცხვი ნახევარ-

შილიონს შეადგენს, მაშინ მთლიანად ფოტოსურათი იძლევა ინფორმაციის ერთ მილიონ ერთეულს ორობითი თველის სისტემაში.— ინფორმაციის რაოდენობის დასადგენად ჩვენ ვითვლიდით პასუხის შესაძლო ვარიანტების რაოდენობას, ამასთან კობითი კითხვის პასუხი დაიყვანებოდა კორობით კითხვაზე, სადაც

$$q = \log_2 n$$

გავიხსენოთ, რომ ორობით კითხვაზე არსებობს ორი შესაძლო ტოლალბათიანი პასუხი (ჰო, არა), რომელთაგან სინამდვილეში მხოლოდ ერთი ხორციელდება. აქ არსებითია ის, რომ დასმულ კითხვაზე ვლებულობთ ალტერნატული სახის კატეგორიულ პასუხს: ან „ჰოს“ ან „არას“.

მაგრამ ყოველთვის როდი შეიძლება სრულიად გარკვეული პასუხის გაცემა. რეალურ მოვლენებში, სადაც შედეგი მრავალ შემთხვევაში გაუთვალისწინებელ მიზეზებზეა დამოკიდებული, შეუძლებელია მტკიცელ დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა დასმულ კითხვაზე.

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის გადარჩენის შესაძლებლობის შესახებ ექიმს შეუძლია მხოლოდ სავარაუდო და არა კატეგორიული შედეგის წინასწარმეტყველება.

თვით ინფორმაციის ცნებაში უკვე წარმოდგენილია ვარაუდი, მართლაც, წინასწარ ჩვენ არ ვიცით მრავალი შესაძლო ვარიანტიდან სინამდვილეში რომელი განხორციელდება. მხოლოდ ცდის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, ექვსი შესაძლებლობიდან (1, 2, 3, 4, 5, 6) რომელი ციფრი დაჯდება კამათლის გაგორებისას. აქ შედეგი შემთხვევაზეა დამოკიდებული.

შემთხვევითი მოვლენების კანონზომიერებებს იხილავს ალბათობათა თეორია, რომლის ახალ და მეტად მნიშვნელოვან დარგს თვით ინფორმაციის თეორია შეადგენს. მტკიცება, რომ ალბათობის თეორია იხილავს შემთხვევითი მოვლენების კანონზომიერებებს, ერთი შეხედვით უცნაურად ეღლება: თუ შემთხვევითია, რა შუაშია კანონზომიერებაო. სინამდვილეში შემთხვევითი მოვლენები ყოველთვის ქაოსური როდი არიან. ხშირად ისინი გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებენ.

ალბათობის ცნება მეტად რთულია, ამიტომ ჩვენ მას კონკრეტულ მაგალითებზე განვიხილავთ.

თქვენ წინასწარ, ცხადია, არ იცით, მეზობელს ქალი ეყოლება თუ ვაჟი, ეს შემთხვევაზეა დამოკიდებული. მაგრამ რომელიმე ქა-
24

ლაქში ან მით უმეტეს მთელ სახელმწიფოში ახალშობილთა შორის გოგონებისა და ვაჟების შეფარდება გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით ყოველ 1000 დაბადებულზე საშუალოდ მოდის 511 ვაჟი და 489 ქალი. ეს იმდენად მცვიდრი კანონზომიერებაა, რომ, როცა 1745—1784 წწ. პარიზში დაბადებულთა შორის სტატისტიკამ უჩვენა არა 511, არამედ ოდნავ მცირე რაოდენობა ვაჟებისა—510, ცნობილი მცენიერი ლაპბლასი დაინტერესდა ამ გადახვევის გამომწვევი მიზეზით და მართლაც შეცდომა აღმოაჩინა: სინამდვილეში 511 ვაჟი იყო.

ალბათობათა თეორიის ძირითად ცნებას წარმოადგენს ცნება შემთხვევითი ამბის, მოვლენის, ხდომილობის ალბათობის შესახებ.

უბრალოდ რომ ვთქვათ, ალბათობა არის რიცხვი, რომელიც არ შეიძლება იყოს 1-ზე მეტი და 0-ზე ნაკლები: იმ ხდომილობის ალბათობა, რომელიც აუცილებლად უნდა მოხდეს, იქნება 1, მაგრამ თუ ხდომილობა შეუძლებელია, ე. ი. არასდროს არ მოხდება, მისი ალბათობა არის 0. მეტად თუ ნაკლებად შესაძლო ხდომილობის ალბათობა გამოიხატება წილადით, რომელიც 0-ის და 1-ის ფარგლებში მდებარეობს — იგი ყოველთვის დადგებითი წილადია რომლის მრიცხველი არ შეიძლება ნნიშვნელზე მეტი იყოს. ამის ფიზიკური აზრი ჩვენს მაგალითში გამოსახავს იმ ფაქტს, რომ შეუძლებელია ვაჟების რიცხვი აღემატებოდეს დაბადებულთა საერთო რიცხვს.

უნდა ალინიშნოს, რომ ალბათობის მნიშვნელობა სრულიად ობიექტურია. იგი დამოკიდებულია საგნების, მოვლენების ობიექტურ ურთიერთკავშირზე.

ალბათობათა თეორია შესაძლებლობას იძლევა ვიწინასწარმეტყველოთ მოვლენათა შემდგომი განვითარების შესახებ ზოგჯერ კატეგორიულად, მეტწილად კი მიახლოებით.

როდესაც დასმულ კითხვაზე მიახლოებით პასუხს ვღებულობთ, ჩვენ სურვილი გვრჩება მეტი ვიცოდეთ, რომ დაგაზუსტოთ ვითარება, გავფანტოთ გაურკვევლობა, მოვსპოთ განუზღვრელობა.

თუ არსებობს შესაძლებლობა გავზომოთ ამ განუზღვრელობის ხარისხი, გამოვსახოთ მისი რაოდენობა მათემატიკური ენის საშუალებით?

მაგალითად, მაქსიმალური განუზღვრელობაა, როცა 100 შესაძლებლობიდან ავადმყოფის მორჩენის სასარგებლოდა ზუსტია 50 (მაშასადამე, სასიკვდილო 50) ნაწილობრივ გარკვეულია, თუ—70

(მაშასალამე სასიკვდილოა 30) და თითქმის მთლიანად განსაზღვრულია, თუ იგი 99-ს აღწევს (მაშასალამე, სასიკვდილოა მხოლოდ ერთი). პირველ შემთხვევაში ალბათობათა განაწილება არის 0,5 და 0,5, მეორეში 0,7 და 0,3, მესამეში 0,99 და 0,01. ექვემდებარებული ჩანს კავშირი განუზღვრელობის დონესა და ალბათობას შორის. განუზღვრელობის დონე დამოკიდებულია ალბათობათა განაწილებაზე. იმ შემთხვევაში, როცა შედეგები ტოლალბათიანია, განუზღვრელობა მაქსიმალურია. ალბათობათა არათანაბარი განაწილების შემთხვევაში განუზღვრელობა ნაკლებია. რაც უფრო განსხვავებულია ალბათობანი, მით უფრო ნაკლებია განუზღვრელობის დონე, ჩვენ თითქმის დარწმუნებული ვართ, რა უნდა მოხდეს.

ინფორმაციის შენახვისათვის საჭიროა მისი ფიქსირება რაიმე ნივთიერების საშუალებით. ინფორმაციის შენახვის სხვა საშუალება არ არსებობს. ინფორმაცია ტვინის ნივთიერებაში იმდენად ორგანულადაა წარმოდგენილი, რომ სიცოცხლის დროებით შეწყვეტის შემდეგ ადამიანს არ უძნელდება მანამდე მიღებული ინფორმაციის აღდგენა.

ეს სრულებითაც არ იძლევა საფუძველს ვითიქროთ თითქოს ტვინი სამუდამოდ ინახავს მიღებულ შთაბეჭდილებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში შთაბეჭდილება თანდათანიბით ქრება, თუ არ განიცდის განმეორებასა და განახლებას. ამ მხრივ ადამიანის ტვინი არ არის ინფორმაციის საიმედო საცავი. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მეხსიერებას იშვიათად თუ შეუძლია ზუსტად და სრული სახით წარმოადგინოს ინფორმაცია. ცნობილი ამბავია, რომ ჩატარებული საუბრის ზუსტი, უშეცდომო აღდგენა ბევრს უძნელდება უკვე საუბრის დამთავრებისას და მით უმეცეს რამდენიმე წლის შემდეგ (თუ ეს საუბარი რაიმე განსაკუთრებულ ვითარებასთან არ იყო დაკავშირებული).

გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში ინფორმაცია თავიდანვე სწორად არ აღიძებული მეხსიერებაში.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, მეხსიერება წარმოადგენს ინფორმაციის ფიქსირების ერთ-ერთ საშუალებას და, როგორც ასეთი, გადაწყვეტი როლს ასრულებს ინდივიდის აღზრდისა და ინტელექტუალური განვითარების საქმეში.

ადამიანთა საზოგადოების გარიერაზე მამა-პაპათა ცოდნა-გამცდილების მომდევნო თაობისათვის გადაცემის თითქმის ერთად-ერთ საშუალებას ზეპირი მეტყველება წარმოადგენდა. ბევრმა დრომ

განვლო, ვიდრე ადამიანმა აზრის ფიქსირების წერითს საშუალებებს მიაგნო. მილიონი წელია მას აქეთ, რაც ადამიანი ცხოველებს გამოეყო, ხოლო კულტურის ისტორია ძლივს ითვლის 10—12 ათას წელს.

წერითი ნიშნების შემოღებამ უზრუნველყო აზრის ფიქსირება და მისი ხანგრძლივი შენახვა. გამოქვაბულის კედლებზე შორეულ წარსულში აღმდეგილმა გამოსახულებებმა ჩვენამდე მოაღწია. ძველი ბაბილონის ნანგრევებში დღესაც ნახულობენ თიხის ფირფიტებზე ჩაჭდეულ ცნობებს, ციური სხეულების მოძრაობაზე საუკუნეობრივი დაკარგვებების შედეგებს. ძველი დროის ეგვიპტის ფარაონების ლაშქრობის ამბავს გვაუწყებენ ქვაზე ამოკვეთილი იეროგლიფები. პაპირუსმა, პერგამენტმა და ქალალდმა (რომელიც ჩინელებმა I—II საუკუნეში აღმოაჩინეს) კაცობრიობას შეუნარჩუნა წინა თაობათა მიერ შეძენილი ცოდნა-გამოცდილება და ამით შესაძლებელი გახადა მსოფლიო კულტურის აჩქარებული ტემპით განვითარება. წიგნსაცავებში თავს იყრის უამრავი წიგნი და ურნალი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის დაარსებისას, 1862 წ., მასში 100000 ბეჭდვითი გამოცემა ინახებოდა, ხოლო 1917 წ.—1,2 მილიონი, 1958 წ. კი მისმა ფონდმა 20 მილიონს მიაღწია.

ყოველი 15—16 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკების ფონდები ორკედება. 50—60 წლის შემდეგ ლიტერატურის ფონდი ბიბლიოთეკებში დაახლოებით 20-ჯერ გაიზრდება. ბეჭდვითი შრომების მოთავსებისა და შენახვის პრობლემა სულ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. არსებითად რომ ვთქვათ, ინფორმაციის შენახვა წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემას აწყობილი მომავალში. მტკიცება არ უნდა, რომ ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის პროგრესისათვის, მეცნიერების, ტექნიკის, წარმოებისა და კულტურის განვითარებისათვის, ადამიანის მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკამაყოფილებისათვის.

კიბერნეტიკის სწრაფი განვითარება საფუძველს აძლევს მეცნიერებს რწმენა გამოთქვან, რომ უკვე უახლოეს ათეულ წლებში შესაძლებელი იქნება დღემდე დაგროვილი მთელი ცოდნის „მოთავსება“ ჩვეულებრივი ზომის ერთ შენობაში და რომ ნებისმიერი ცნობა თვალის დახმამებაზე მოინახება სპეციალური აპარატურის საშუალებით.

ვინაიდან ცოდნის, ინფორმაციის როგორც ჩაწერა, ისე მონახვა უაღრესად ავტომატიზებული უნდა იყოს, ამისათვის უნდა

გამოინახოს ეკონომიური ფიქსირების ისეთი საშუალება, რომელიც
მანქანაში ყველაზე იოლად განხორციელდება. ჩვეულებრივ პირო
ბებში ათობითი თველის სისტემა სრულიად დამაკმაყოფილებელია
მაგრამ თანამედროვე გამომოვლელი მანქანების მუშაობის სისტრა-
ფის თვალსაზრისით უკეთესია ორობითი თველის სისტემა, რომე-
ლიც ერთდროულად უმარტივესიცა და ყველა სახის შესაძლო
სისტემაზე ეფექტურიც.

ათობით სისტემაში რიცხვი შეიძლება წარმოვადგინოთ რიც-
ხების მწერივის ჯამის სახით, მაგალითად

$$8192 = 8000 + 100 + 90 + 2, \text{ ანუ}$$

$$8192 = 8 \cdot 10^3 + 1 \cdot 10^2 + 9 \cdot 10^1 + 2 \cdot 10^0$$

ორობით სისტემაშიც რიცხვი შეიძლება გამოვსახოთ რიცხვების
მწერივის ჯამის სახით. თითოეული წევრი აქ წარმოადგენს 2-ს აყვა-
ნილს 0, 1, 2, 3, 4,... ხარისხში და გამრავლებულს კოეფიციენტზე,
ოღონდ აქ კოეფიციენტი უკვე შეიძლება იყოს ან 0, ან 1.

მაგალითები:

$$5 = 4 + 1 = 1 \cdot 2^2 + 0 \cdot 2^1 + 1 \cdot 2^0$$

$$19 = 16 + 2 + 1 = 1 \cdot 2^4 + 0 \cdot 2^3 + 0 \cdot 2^2 + 1 \cdot 2^1 + 1 \cdot 2^0$$

უკანასკნელი ჯამის მაგიერ შეგვიძლია წერის გადვილების მიზნით
გარკვეული თანმიმდევრობით დავწეროთ მხოლოდ კოეფიციენტები:

$$19 = 10011$$

როგორც ვხედავთ, რიცხვი „ცხრამეტის“ ორობითი ეკვივა-
ლენტი არის — „10011“.

აქ აშკარადაა წარმოდგენილი ის ფაქტი, რომ ორობითი თველის
მწერივში არის წევრები პირველი თანრიგისა ($2^0 = 1$), მეორე თან-
რიგისა ($2^1 = 2$) და მესუთე თანრიგისა ($2^2 = 4$), ხოლო არ არის
მესამე ($2^3 = 8$) და მეოთხე ($2^4 = 16$) თანრიგის წევრები.

ორობითი ჩაწერის დროს ყოველი თანრიგის რიცხვი ჭინა
თანრიგის რიცხვზე ორჯერ მეტია: $2^1 = 2 \cdot 2^0$

$$2^2 = 2 \cdot 2^1$$

$$2^3 = 2 \cdot 2^2,$$

$$\cdots \cdots \cdots$$

$$2 = 2 \cdot 2^{n-1}$$

ვიცით რა ორობითი თველის სისტემაში რიცხვის გამოსახვის

წესი, შეგვიძლია შევადგინოთ რიცხვის ათობითი სისტემიდან ორობითი თვლის სისტემაში გადაყვანის ცხრილი (№ 1).

ცხრილი № 1

რიცხვი ათობით სისტემაში	იგივე რიცხვი ორობით სისტე- მაში	რიცხვი ათობით სისტემაში	იგივე რიცხვი ორობით სისტე- მაში
0	0	12	1100
1	1	13	1101
2	10	14	1110
3	11	15	1111
4	100	16	10000
5	101	17	10001
6	110	18	10010
7	111	19	10011
8	1000	20	10100
9	1001	21	10101
10	1010	22	10110
11	1011	23	10111
12	1100	24	11000
13	1101	25	11001

ორობითი თვლის სისტემას უპირატესობა აქვს ათობითი სისტემის წინაშე აგრეთვე არითმეტიკული მოქმედებების სიმარტივის მხრივ. ორობით არითმეტიკაში რიცხვების შეკრების ძალიან უბრალო წესებია:

$$0 + 0 = 0; \quad 1 + 0 = 1;$$

$$0 + 1 = 1; \quad 1 + 1 = 10;$$

მხედველობაში ვიქონიოთ, რომ უკანასკნელ სტრიქონში 10-ივითხება როგორც 1 და 0 და არა ათი.

თუ ათობითი თვლის სისტემაში საჭიროა გამრავლების საკმაოდ დიდი ცხრილის დაზეპირება, ორობით სისტემაში გამრავლების ძალიან ბატარა და აღვილად დასამახსოვრებელი ცხრილია:

$$0 \times 0 = 0; \quad 1 \times 0 = 0;$$

$$0 \times 1 = 0; \quad 1 \times 1 = 1.$$

ვინაიდან ორობით სისტემაში რიცხვი გამოისახება როგორც 0 და 1 სიმბოლოების გარკვეული თანმიმდევრობა, რიცხვის შეფანა მანქანაში ხდება იმპულსების შესაბამისი თანმიმდევრობის სახით: 1-ს შეესაბამება ელექტრული ძაბვის იმპულსი, 0—იმპულსის უქონლობა.

მაგალითად 67-ს, რომელიც ორობით სისტემაში იწყება
როგორც

1 0 0 0 0 1 1,

შეესაბამება მე-2 ნახაზზე ნაჩვენები იმპულსების თანმიმდევრობა
და დროის მიხედვით:

. A A . A . → t
1 0 0 0 1 1

ნაზ. 2

რაც უფრო დიდია რიცხვი, მით უფრო მეტი თანრიგებით და,
მაშასადამე, იმპულსების სათანადოდ გრძელი თანმიმდევრობით გა-
მოიხატება იგი.

თანამედროვე ავტომატურ ელექტრონულ-სწრაფმთვლელ მან-
ქანებში, რომლებშიც ელექტრომილაკებია გამოყენებული, იმპულ-
სების წარმოქმნის სიჩქარე აღმატება 4—5 მილიონ იმპულსს სე-
კუნდში. ნახევრად გამტარების გამოყენება (ელექტრომილაკის ნაცვ-
ლად) მნიშვნელოვნად ზრდის სწრაფმთვლელი მანქანის მოქმედების
სიჩქარეს. ხმარებაში შემოდის ელექტრომილაკის აგრეთვე სხვა სა-
ხის შემცვლელები, რაც ახალ პერსპექტივას შლის ელექტრონული
მანქანების განვითარებაში. თანამედროვე მანქანებში თანრიგთა
რაოდენობა 40-ს აღმატება, რაც 12 და უფრო მეტნიშნა რიცხვს
შეესაბამება (ათობითი თვლის სისტემაში).

მანქანებში შეჰყავთ ჩვეულებრივი რიცხვი, რომელიც მანქანას
ავტომატურად გადაჰყავს ორობითი თვლის სისტემაში, ხოლო იმ-
პულსების შესაბამის თანმიმდევრობაზე ოპერაციების დამთავრები-
სას—ორობიდან ათობითი თვლის სისტემაში. ორობითი თვლის
სისტემა შესაძლებლობას, იძლევა 0 და 1 საშუალებით ჩავწეროთ
ასოები და გაწარმოოთ ლოგიკური ოპერაციები. თანამედროვე
ტელეგრაფი ტექსტის გადასაცემად იყენებს ორობითი სისტემის
მხოლოდ ხუთ თანრიგს. ხუთი ორობითი თანრიგის (0 და 1) კომ-
ბინაცია იძლევა 32 სხვადასხვა ვარიანტს. ყოველ რუსულ ასოს
(რუსულ ანბანში 32 ასოა) შეიძლება დაგუავშიროთ ერთ-ერთი
ასეთი ვარიანტი და ტექსტი 0-სა და 1-ის მწკრივით გამოვხატოთ.
ეს იქნება ჩვეულებრივი ტექსტის კოდირება ორობითი თვლის სის-
ტემის საშუალებით, ე. ი. მხოლოდ ორი ციფრის (0 და 1) საშუა-
ლებით.

0 და 1 საშუალებით კოდირებული ინფორმაცია, შეყვანილი
ელექტრონულ-ციფრულ მანქანაში იმპულსების გარკვეული თან-

მიმდევრობის სახით, შეიძლება შევინახოთ მის სამახსოვრო მოწყობილობაში როგორც ხანგრძლივად, ისე მოქლე დროით. კოდირებული ტექსტის ან მათემატიკური გამოსახულების ხსენებული განკანით გადამუშავების გზით შეიძლება, როგორც ეს უკვე გაკვრით იყო აღნიშნული, მრავალი ისეთი სამუშაოს შესრულება, რაც ბოლო დრომდე ადამიანის ინტელექტის პრივილეგიად ითვლებოდა.

მოვიყვანოთ ელექტრონული მანქანის გამოყენების რამდენიმე კონკრეტული მაგალითი.

მილიონობით ადამიანი სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებში, სავაჭრო და სხვა დაწესებულებებში ეწევა ისეთ შრომას, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია შემოსული ინფორმაციის დახარისხებაზე, რეგისტრაციაზე, შედარებასა და გადამუშავებაზე. ამ ინფორმაციას მრავალნაირი სახე აქვს. ეს შეიძლება იყოს დეპეშა, წერილი, მოხსენებითი ბარათი, ანგარიში, ცნობა, უწყისი, ჩეკი, ქვითარი და სხვ. ამ უამრავი ქაღალდის ნაკადს, რომელშიც ინფორმაცია მოქცეული, სჭირდება ღრუული გადამუშავება და სწორი მიმართულების მიცემა ათასნაირი არხებით, რომლებითაც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული სულ სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ობიექტები.

ქაღალდების ოპერატორები დამუშავებასა და მიმოქცევას თვით დაწესებულების მუშაკთა შორისაც კი არსებითი მნიშვნელობა აქვს დაწესებულების აწყობილი მუშაობისათვის.

უნდა ითქვას, რომ ასეთი საკანცელარიო-საკონტორო ხასიათის საქმე არ მოითხოვს დიდ შემოქმედებით აზროვნებას. იმ შემთხვევაში, როცა ჩენ გვიხდება ერთნაირი სახის ოპერაციების ხშირი გამეორება, ბუნებრივად გვებადება შრომის მექანიზაციისა და ოპერაციების ავტომატური წარმოების სურვილი. ამით იყო გამოწვეული სათვლელ-საანგარიშო მოწყობილობათა შემოღება. მაგრამ დღეს საანგარიშო და არითმომეტრი უკვე ვეღარ უზრუნველყოფენ დიდი მოცულობის რაოდენობრივი მასალის გადამუშავებას მცირე ღროში. აღსანიშნავია, რომ როგორც სამრეწველო, ისე სავაჭრო და საუწყებო დაწესებულებებში მიღებული ინფორმაციის გადამუშავების მიზანია მიიღონ ობიექტის ან პროცესის მდგომარეობაზე მცირე მოცულობის ნათელი დახასიათება. ამიტომ, ინფორმაციის გადამუშავების პროცესი რომ გაჭიანურდეს, შედეგის გამოყენება შეიძლება იღარც მოხერხდეს. დროის ფაქტორს თანამედროვე ცხოვრებაში არსებითი და ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

თანამედროვე სწრაფმოვლელ ელექტრონულ მანქანას უნარი

აქვს ერთ საათში შეასრულოს ისეთი მოცულობის სამუშაო, რო-
მელსაც ათასი გამომთვლელი მრავალ თვეს ანდომებს. სამრეწველო
წარმოების დარგში მთელი რიგი ოპერატორული სახის ინფორმაციის
გადამუშავება, მაგალითად, პროდუქციის თვითღირებულების გამო-
თვლა, საჭყობებში მარაგის კონტროლი, თვით წარმოების პროცე-
სის მართვა და სხვა., თამამად შეიძლება მიენდოს ელექტრონულ
მანქანას.

ხშირად იყენებენ ციფრულ-ელექტრონულ მანქანას ხელფასე-
ბის უწყისების შედგენისას.

საკომერციო ოპერაციებისათვის ინგლისში შეიქმნა მანქანა—
„ლეო“. გარდა ხელფასების უწყისების გაფორმებისა, „ლეო“ ყო-
ველდღე აფორმებს შეკვეთებს, რომელებსაც ღებულობს ლონდონის
150 საკონდიტრო მაღაზიისაგან. იგი ითვლის, თუ რომელმა საც-
ხობმა და ფაბრიკამ უნდა დაამზადოს მაღაზიებისათვის სახვალიოდ
საჭირო პროდუქცია, რომელმა ფირმამ უნდა შეფუთოს და რომელ
მაღაზიაში უნდა მიიტანოს საკონდიტრო ნაწარმი. აღსანიშნავია,
რომ ამ ნაწარმის ნომენკლატურა მოიცავს 250 სახელწოდებას.
საინტერესოა, რომ მაღაზიის ადმინისტრატორი ტელეფონით გა-
დასცემს გამომთვლელი მანქანისათვის ცნობას იმის შესახებ, თუ
რით განსხვავდება ახალი შეკვეთა ჩვეულებრივი სტანდარტული
ყოველდღიური შეკვეთისაგან. ეს ცნობა გადააქვთ პერფობარათზე,
რომელიც სტანდარტული შეკვეთის პერფობარათთან ერთად მი-
დის მანქანაში. საჭირო ინფორმაციას მანქანა იძლევა დაბეჭიდი-
ლი ტექსტის სახით. ამ ინფორმაციაში შედის აგრეთვე ის ახალი
მომენტები და ტენდენციები, რომელიც თრიინტაციას აძლევენ
როგორც მაღაზიებს, ისე მწარმოებლებს სწორად დაგეგმონ თავიან-
თი მუშაობა მომდევნო დღეებისათვის.

ასეთი ტიპის გამომთვლელ მანქანას უნარი აქვს ისე დაამუ-
შაოს ინფორმაცია, რომ სწორად დაიგეგმოს რომელიმე სამრეწვე-
ლოს საწარმოო პროცესი. ამისათვის მანქანაში შეჰქავთ საჭირო
მონაცემები, როგორიცაა პროდუქციისათვის საჭირო დეტალებისა
და მასალის ნუსხა, არსებული ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა
და ინსტრუმენტების ნუსხა, წარმოების სიშეძლავრე და სხვ. სათანა-
დო შედარებებისა და გაანგარიშების შედეგად მანქანა საზღვრავს,
თუ რა ვაღებში შეიძლება ამა თუ იმ დეტალის დამზადება და რა
დამატებითი პირობებია ამისათვის საჭირო (ვთქვათ, დამატებითი
ნედლეულის მიღების ვადები).

მოვიყვანოთ ლიტერატურაში ცნობილი მაგალითი საუტკოლის სატვირთო ავტომობილების ქარხანაში ავტომატური დაგეგმვის შესახებ. დამგეგმავის როლშია მთვლელი მანქანა, რომელსაც გაცალებით ნაკლები შესაძლებლობანი აქვს, ვიდრე მანქანა „ლეოს“. მას შეუძლია შესასრულოს მხოლოდ არითმეტიკული ოპერაცია. დახარისხება კი წარმოებს პერფორაციული მანქანით. მიღებულია შეკვეთა, ვთქვათ, 4 სხვადასხვა ტიპის სატვირთო მანქანების პარტიაზე. თითოეული მოდელისათვის საჭირო ქვანძების შესახებ ცნობები ინახება პერფორატორების ბიბლიოთეკაში. ამ პერფორატარატებისა და შეკვეთის ცნობის მიხედვით გამომთვლელი მანქანა ითვლის, თუ რამდენი და რა სახის დეტალი უნდა დამზადდეს. ამასთან მანქანა მხედველობაში იღებს საწყობში შენახული დეტალების რიცხვსაც. მანქანა დაბეჭდილ სიას იძლევა თუ რა და რა მასალა უნდა შეიძინოს მომარაგების განყოფილებამ და რა ვადებში.

მანქანა განსაზღვრავს აგრეთვე ცალქეული სახის სამუშაოების როგორც დაწყების, ისე დამთავრების ვადებს და ამასთანავე უჩვენებს რომელ სამჯროში როგორ იქნება დატვირთული მანქანა-მოწყობილობა, და რა სახისა და რაოდენობის სამუშაო უნდა გადაეცის სხვა წარმოებას საკუთარი ბაზის გადატვირთვის გამო.

სწრაფმთვლელი მანქანები, რომლებსაც უნარი აქვთ დაგეგმონ, მართონ და აკონტროლონ საწარმოო პროცესი, წარმოების ავტომატიზაციის დიდ შესაძლებლობას იძლევიან — თვით ქარხანა-ავტომატის შექმნამდე. ეს უკანასკნელი იქნება სრულიად თვითმართვა-დი ქარხანა, რომელიც იმუშავებს იმ ტექნიკური პირობების შესაბამისად, რომელსაც ადამიანი დააპროგრამირებს.

კიბერნეტიკის ფუძემდებლის, ნ. ვინერის აზრით საავტომობილო ქარხანა-ავტომატში მუშაობის თანმიმდევრობას განსაზღვრავს თანამედროვე სწრაფმთვლელი მანქანის მსგავსი მოწყობილობა, რომელიც შესძლებს მოახდინოს მდგომარეობის ლოგიკური ანალიზი და გასცეს განკარგულება. გამომთვლელი მანქანა ავტომატურ ქარხანაში მმართველის როლს შესასრულებს. ინფორმაციას წარმოების მდგომარეობაზე მიიღებს თავისი „გრძნობის ორგანოების“ საშუალებით. ასეთი „ორგანოები“ უკვე არსებობენ ფოტოელემენტებისა და სხვა მისთანა ხელსაწყოების სახით. მმართველ მანქანას ექნება აგრეთვე „მოქმედების ორგანოები“ ელექტრული და სხვა მოწყობილობათა სახით, მათ შორის მანიპულატორები, რომლებიც

ატომურ რეაქტორში დღეს უკვე წარმატებით ასრულებენ ადამიანის ხელის როლს.

მმართველი მანქანა „გრძნობის ორგანოების“ მეშვეობით უკუკავშირის რეემში იმოქმედებს. გარდა საწყისი მდგომარეობისა, იგი მხედველობაში მიიღებს იმ ცვლილებებს, რომლებიც წინა სამუშაო პროცესებითაა გამოწვეული. მოსალოდნელია რომ ამის საფუძველზე მმართველი მანქანა შესძლებს ლოგიკური და მათემატიკური ფუნქციების შესრულებას, როგორც მართვის ცენტრალური სისტემა.

ავტორი ასკვნის: „მთლიანად ეს სისტემა მოგვაგონებს დამოუკიდებელ ცოცხალ არსებას გრძნობის ორგანოებით, მოქმედების ორგანოებითა და ცენტრალური ნერვული სისტემით. თანამედროვე გამომთვლელ მანქანას არა აქვს არც გრძნობის ორგანოები, არც მოქმედების ორგანოები, იგი მოგვაგონებს სხეულისაგან განცალებულ ტვისნ“...

როგორც აღნიშნული იყო, კიბერნეტიკა საერთო თვალსაზრისით იხილავს იმ მოვლენებს, რომლებსაც სხვადასხვა კონკრეტული მეცნიერული დისკიპლინები შეისწავლიან თვითანთი სპეციფიკური თვალსაზრისითა და მეთოდებით. ასეთი მიდგომით კიბერნეტიკამ შეძლო უაღრესად დაშორებულ მეცნიერებათა კონკრეტულ ასპექტში გაერთიანება.

ადამიანსა და მანქანას შორის მთელი უფსკრულია. მანქანა ხელოვნური ნაკეთობაა ისეთი მასალისა, როგორიცაა ლითონი, პლასტმასა, მინა და სხვა, ადამიანი კი ცოცხალი ბუნების განვითარების მწვერვალზე მყოფი გონიერი არსებაა.

თავისი ბუნებით აზროვნებას ცოტა რამ აქვს საერთო მანქანასთან, მაგრამ გონიერულ მუშაობასა (ე. ი. ფიზიოლოგიურ პროცესსა) და გამომთვლელი მანქანის მუშაობას (ე. ი. ელექტრონულ პროცესს) შორის საერთო ის არის რომ გამოთვლის წინ მიწოდებული ერთი და იგივე საწყისი მონაცემების საფუძველზე ერთსა და იმავე შედეგს იძლევიან მთელი რიგი ამოცანების ამოხსნისას.

კიბერნეტიკას სრულიად ბუნებრივად მიაჩნია არსებობდეს ისეთი ნიშან-თვისებანი, რომლებიც ექნება როგორც ადამიანს, ისე მის ქმნილებას—მანქანას, გაკეთებულს სწორედ იმ მიზნით, რომ ზოგიერთი ფუნქციით ადამიანს დაემსგავსოს.

ბოლოს და ბოლოს, თუ ბუნებამ შეძლო ადამიანის როგორც შემოქმედი არსების შექმნა, რატომ იმავე ბუნებას ადამიანის გე-

ნიის დახმარებით არ შეუძლია ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც
ინტელექტუალური შრომის ზოგიერთ ფუნქციას შეასრულებს?

იმ ზოგად ნიშან-თვის ებებს, რომლებიც საერთო უნდა იყოს
სხვადასხვაგვარი სისტემებისათვის, კიბერნეტიკა იხილავს აბსტრაქ-
ტულად, განურჩევლად მათი ბუნების; მათვის საერთოა მხოლოდ
ის რაოდენობრივი კანონზომიერებანი, რომლებიც არსებობენ შე-
დეგებსა და მიწოდებულ საწყის მონაცემებს შორის.

პრობლემების განხილვის აღწერილი შეთოვდი კიბერნეტიკას
შესაძლებლობას აძლევს უშუალოდ დაუკავშირდეს მეცნიერების
მრავალ კონკრეტულ დარგს. კიბერნეტიკა პოულობს გადაკვეთის
საერთო არეს მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთ სხვადასხვა დარგ-
თან, როგორიცაა: რადიოტექნიკა, ავტომატიკა, ნეიროფიზიოლო-
გია, მანქანური მათემატიკა და სხვ. კიბერნეტიკა სხენებული დარ-
გების ისეთ მოვლენებს იხილავს, რომლებიც დღემდე ნაკლებ ყუ-
რადლებას იყრდნობენ. ამრიგად, კიბერნეტიკა სრულებითაც არ
ითვისებს სხვა მეცნიერებათა შესწავლის საგნებს, არამედ განიხი-
ლავს მათი მოვლენების ნაწილს თვალსაზრისითა და მე-
თოდით, რაც თვით ამ დარგებსაც წინ სწევს.

კიბერნეტიკის გამოყენება დღითიდღე ფართოვდება, რასაც
თან სდევს როგორც კიბერნეტიკის, ისე მასთან დაკავშირებული
დარგების აღმავალი განვითარება.

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მანქა-
ნისა და საერთოდ ტექნიკურ საშუალებათა მთავარ დანიშნულებად
ითვლებოდა ადამიანის მთლიანი თუ ნაწილობრივი შეცვლა ფიზი-
კურ შრომაში; დღეს ახალი ტიპის მანქანების—კიბერნეტიკული
მანქანების—მთავარი დანიშნულებაა თანაშემწეობა გაუწიოს ადა-
მიანს გონიერივი ხასიათის შრომაში.

ჩვეულებრივმა მანქანამ ისეთი ზღაპრული ძალა შემატა ადა-
მიანს, რომლის მსგავსი ფრთაშესხელმა ფანტაზიამ მითიურ გმი-
რებსაც კი ვერ მოუნახა. ადამიანმა, რომლის სიმძლავრე ცხენის
ძალის ნახევარს შეადგენს, შექმნა ათიათასჯერ უფრო მძლავრი
ელმავალი და მილიონჯერ მძლავრი კოსმოსური რაკეტა.


ტექნიკის წყალობით ფიზიკური შრომის ნაყოფიერება უკანას-
კნელ საუკუნეებში 1400 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როცა გო-
ნებრივისა მხოლოდ ერთიორიად. იმ ფუნქციების ნაწილი, რომლებ-
საც ადამიანის ტვინი ასრულებს, კიბერნეტიკულ მანქანებს გადაე-
ცემა. ეს იქნება „ადამიანის აზროვნების პროცესის მექანიზაცია“,

რაც, ბუნებრივია, მრავალჯერ გაზრდის გონებრივი შრომის ნაყოფიერებას.

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ კიბერნეტიკული „ჭკვიანი მანქანების“ განვითარების ეპოქის დასაწყისში. ჩვენთვის ისევე ძნელია კიბერნეტიკის მომავლის წარმოდგენა, როგორც „გამოქვაბულის აღამიანისათვის ელექტროფიკაცია“ (ე. კოლმანი).

თუ დღემდე ტექნიკა აძლიერებდა აღამიანის კუნთების ძალას, ამიერილან ტექნიკა მოემსახურება აგრეთვე მისი გონების გაძლიერების ამოცანას. და სწორედ გონებისა და არა კუნთების ძალით აღამიანი თვისებრივად განსხვავდება ცხოველისაგან. ამიტომ კაცობრიობის განვითარებაში კიბერნეტიკული მანქანები, „ჭკვიანი, მთაზროვნე მანქანები“ დასაბამს აძლევენ თვისობრივად ახალ ერას, რომელიც თავისი ბუნებითა და მომავლით არსებითად დაკავშირებულია გონივრულად ორგანიზებულ და გეგმაშეწონილად მოქმედ საზოგადოებასთან.

ამიტომაა რომ სკეპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებაში გათვალისწინებულია გამოთვლითი ტექნიკის ინტენსიური ტემპით განვითარება. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უშუალო დახმარებით საქართველოში ჩამოყალიბდა კიბერნეტიკის ინსტიტუტი და მრავალი სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომლებიც მუშაობენ კიბერნეტიკისა და უახლესი ტექნიკის აქტუალურ პრობლემებზე.



3560 10 653.



Р. С. ШАДУРИ, В. В. ЧАВЧАНИДЗЕ
ЧТО ТАКОЕ КИБЕРНЕТИКА
(На грузинском языке)

Издание Общества по распространению
политических и научных знаний
Грузинской ССР
Тбилиси
1961